


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჭაბუბით ბუბთის გაფანა ყულა უჯარბისდბაგე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 5 სექტემბერი, 2015 წელი.

№166 (7811)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge **ვებ გვერდი: www.sakresp.ge** **ფასი 50 თეთრი.**

ტარიფოზანა თუ არიფოზანა?! რიპუპ არიპუპაქი:

2 რატომ დაარტყა დენბა თბილისსას?

ბიძინა ივანიშვილის კიდევ ერთი ქველმოქმედება

საბარტმელოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დიდ დილომში სარაგბო ბაზა გახსნა. სარაგბო ბაზა „ლელო სარასენის“ ტერიტორიაზე განთავსებულია ორი სათამაშო მოედანი – ბუნებრივსაფარიანი მოედანი, რომელიც 1750 მაყურებელზეა გათვლილი, ასევე მეორე, ხელოვნურსაფარიანი სტადიონი სპორტსმენების სავარჯიშოდ.

„ბიძინა ივანიშვილმა დაიწყო რაგბის განვითარების პროგრამა 2009 წელს. ამ პროგრამის ფარგლებში უკვე აშენდა 7 ბაზა. უშუალოდ ამ ბაზაზე დაიხარჯა 6 მილიონი. ჯამში კი შეიძლება დაიხარჯოს 55 მილიონი ლარი. ჩვენ გვაქვს თანამედროვე ბაზები, ისეთი, როგორც ვეროპაშიც კი არ არის. განცვიფრებულნი არიან ჩვენი შოტლანდიელი მწვრთნელები და პარტნიორები, ასევე ახალზელანდიელები. ისინი ნატრობენ, რომ ასეთი ბაზები თავიანთ ქვეყნებში პქონდეთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელობა, კერძოდ, გია ნიჟარაძე და მისი გუნდი მოტივირებული არიან რომ საქართველომ მეტი გამარჯვება მოიპოვოს.

ასევე, პრემიერმა აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის ბაზა რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა ქუთაისში, რომელზეც 11 მილიონი დაიხარჯა, ასევე ფოთში, რომელზეც 7 მილიონი დაიხარჯა.

„მინდა მაგლობა გადაუხადო ბიძინა ივანიშვილს და „ქართუ ფონდს“, რომელიც უნიკალურ საქმეს აკეთებს რაგბის განვითარების საქმეში. 7-8 წლის წინ ბიძინა ივანიშვილის იდეა იყო, რომ ფეხბურთისთვის 100 მილიონი დოლარი გამოეყო, თუმცა მაშინ ძველმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო ამ თანხის მიღება და უარი თქვა ამზე. შემდეგ ეს თანხა გადაამისამართდა რაგბის განვითარებაზე და შედეგს ვხედავთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გახსნას ესწრებოდა სპორტის მინისტრი, რომელმაც მაგლობა გადაუხადა „ფონდ ქართუს“. ტარიელ ხეჩიკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ სხვა კომპანიებიც მიმართავენ მსგავს კამპანიას და ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას.

ქაბარუემოჭარილი მუსლები, ანუ მაქლარი მუიერს წვრილად უფხვნიდაო...

უენ მაღალანაზღაურებადი ხარ. მაგრამ ხალხს რა?!

11

თაღლითიბი სამორინა „აჭარაში“

შპს „კაზინო აჭარას“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 19 269 277 ლარი.

ყველა ჭკუათმყოფელი ინვესტორი სათოფეზე არ მობვექარება,

ანუ მარკირება - კიდევ ერთი ბარიერი ბიზნესისტვის?

5

არსენ და მიუა შაიბნენ...

ოქსინის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკს გადაწვევტილებების ოლიგარქების სასარგებლოდ მიღებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ სააკაშვილმა უკრაინულ ტელევიზორში „მესუთე არსთან“ ინტერვიუში განაცხადა.

„რა ინტერესებიდან გამომდინარე იქცევა იაცენიუკი – კოლომოსკის თუ ასობით მილიონი მგზავრის? იაცენიუკმა მიიღო გადაწვევტილება კოლომოსკის სასარგებლოდ. ის ასევე რეგულარულად იღებს გადაწვევტილებას ახმეტოვის და სხვების სასარგებლოდ. უკრაინის მთავრობას ყველა ამ ოლიგარქის ინტერესები აკონტროლებს“, – აღნიშნა მან.

როგორც ჩანს, ნაღმი უნდა აფეთქდეს!

წყალნი ნაკლენ და ნამოვლენ...

მრბოალი მაბილა პასტანბ ჭაბუპიანის სასლ-მუხეუეუი

7

სივარტლე კი ასეთია

რას პაპითებ მე, ერთი კაცო, იმისთვის, რომ იყოს ის, რას მინდა?



რუსულან შარაძე: ბიძინა ივანიშვილის პიროვნული როლი რომ არა, სააკაშვილს ვერ მოვიშორებდით!

მოკლული გურამ შარაძის შვილი რუსულან შარაძე სოციალურ ქსელში აქვეყნებს განცხადებას, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ყველანაირ კრიტიკას მივიღებ, გარდა უტაქტო, უზრდელო გამოხატულებებისა. აგრეთვე, არ მივიღებ ლოზუნგებს. ველოდები, რაში ხედავთ გამოსავალს, კონკრეტულად, რა გავაკეთოთ ჩვენ, ხალხმა? ჩემი აზრით, სწორად გვერევა და ერთმანეთისგან ვერ ვანსხვავებთ — „მინდა, რომ იყოს“ და „არის“. ამასთან, სწორად, გვაინფორმირებთ — „რა იყო“. აქედან მოდის თავი და თავი აბლაბუდის. ფსიქოლოგიურ სიღრმეებში სვლების მეცნიერული ცოდნა არ მყოფნის, ადვილი ენით, საკუთარ მაგალითზე მოგახსენებთ: მინდა, რომ იყოს — ჩემი ქვეყანა გაბრწყინებული, დაღმწილი, განათლებული, სუფთა ბიოგრაფიის პოლიტიკოსებით სავსე... არ იყოს დამოკიდებული იმპერიებზე, თავად წვევტილდეს როგორც საგარეო, ისე საშინაო საკითხებს. ვერაფერზე დაგვადეს ჩარევას და აქედან გამომდინარე, 2012 წლის ოქტომბერშივე, სამართალს პური ბოლომდე ნაჭამი ჰქონდეს...

ბრძოლა — ყველა ზემოთ ჩამოთვლილი, რბილად რომ ვთქვათ, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. იმედი — მგონი ზედმეტი მოყოლა ბიძინა ივანიშვილის პიროვნული როლი რომ არა, პირადად, მე შეგუებული ვიყავი, რომ სააკაშვილს მისრწმინდებამდე ვერ მოვიშორებდით. მიჩნდება კითხვები: რას ვაკეთებ მე, ერთი კაცი, იმისთვის, რომ იყოს ის, რაც მინდა? — რა შედეგები იქნება, იმის მიხედვით, სხვამ შეაფასოს. შემძლია იმაზე მეტი, რასაც ვაკეთებ?

— ალბათ, კი. რას აკეთებს სხვა, როგორც აქ ბევრი წერს, „საუკუნის მკვლელის“ გამოსაძიებლად? — ავიღოთ ყველაზე უარესი — ვთქვათ, ხელისუფლებას და პროკურატურას დრო გაჰყავს. რას აკეთებენ დანარჩენები? — „აღდაგი“ ანადგურებს ინფორმაციას და ამით, ჯერჯერობით, ვერ დგინდება ფირზე გამოსახული მკვლელის ზუსტი სიმაღლე. — უმნიშვნელოვანესი მონემები იმალებიან. — არასამთავრობოებს, უფლებადამცველებს (აქ თითოთოროლას არ ვგულისხმობ) და ა.შ... სულ არ აინტერესებთ დასჯრეტილი მამაჩემი და ცოცხლად განადგურებული გიორგი ბარათელის ბედი. — ხალხს ვეძახი, მოდით, ყველას ერთად ვანახოთ მუშტი-მეთქი და დაპირებების მიუხედავად, სულ ის ვართ ხოლმე, ვინც ამდენი წელია, ვიკრიბებით. ყველა შემოგვწერებია მე და პროკურატურასა აბაა? ვისი აჯობებს? ვცდები? ვიკამათოთ „ცივილურად“, ანუ ცივილიზებულად. „ანწყლო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“...



მხარე სინაგვილი

მუიერს წვრილად უფხვნიდაო...

კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი — 3 200 ლარი; საგადასახადო ომბუდსმენის მოადგილე — 3 125 ლარი; აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — 3 070 ლარი; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — 3 070 ლარი; საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — 3 000 ლარი. 2 950 ლარია მინისტრების პირველი მოადგილეების ხელფასი. ასევე 2 950-2 950 ლარიანი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები აქვთ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს (ჰყავს ორი მოადგილე); სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის პირველი მოადგილეს და მოადგილეებს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსს, შემოსავლების სამსახურის უფროსს და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორებს. 2 900 ლარია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მოადგილის თანამდებობრივი სარგო. მას მოჰყვებიან იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი — 2 880 ლარი; შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მო-

ადგილე — 2 750 ლარი. 2 750 ლარია მერების (სულ 12 მერი, ჯამში 33 000 ლარი) ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოები. მერებს 2 720 — ლარიანი თანამდებობრივი სარგოებით მინისტრების მოადგილეები მოჰყვებიან. ასევე 2 720-ლარიანი თანამდებობრივი სარგო აქვთ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს (სულ ოთხი მინისტრი, ჯამში 10 880 ლარი), პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს (ორი მოადგილე, ჯამში 5 440 ლარი) და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის უფროსს. სასაზღვრო პოლიციის უფროსის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 2 710 ლარია, პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის — 2 700 ლარი. 2 650 ლარიან ხელფასს იღებენ აფხაზეთის ა/რ-ის მინისტრები, საკრებულოების თავმჯდომარეები (არის საკრებულო 71 თავმჯდომარე, ჯამში 188 150 ლარი) და გამგებელი (სულ 59 გამგებელი, ჯამში 156 350 ლარი). ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს ოდენობის მიხედვით მათ შემდეგ მოდიან: შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე — 2 600 ლარი (ორი მოადგილე, ჯამში 5 200 ლარი); იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები — 2 500 ლარი (15 წევრი, ჯამში 37 500 ლარი).

სანამ ხალხს ყელში არ ამოუვა



რე უშვებ „ბავებოვლ“ საქართველოს?

ბარლამენტმა პრეზიდენტის მიერ „ბანკების შესახებ“ კანონში ცვლილებებზე დადებული ვეტო ისევ დაძლია. ალბათ, ეჭვი არავის ებარებოდა, რომ ეს ასევე მოხდებოდა. მიუხედავად ამისა, „ვეტოობანას“ თამაში მაინც აქტუალური იყო საზოგადოებისთვის — ეტყობა, მას მუდმივად სანახაობა სჭირდება, თორემ, ძალიან კარგად იცის, რომ ვეტოს დაძლივად დაძლივით ქვეყანაში არსებულად არაფერი არ შეიცვლება — რაც არ უნდა კარგი კანონი გვექონდეს, ან უკვე მიღებულ კანონებში არსებული ხარვეზების გამოწვევებზე ვიზრუნოთ, რა აზრი აქვს, თუ კანონმა არ იკანონა? საქართველოში კი კანონმორჩილება უცხო „ხილია“ და საჭიროების შემთხვევაში „ქოთანს“ რომელი მხრიდანაც სჭირდება, იმ მხრიდან აბამენ ყურს. ის, რომ დღევანდელი საბანკო ვაკანალიის გათვალისწინებით საბანკო ზედამხედველობის სამსახური ქადაგიძის მორჩილებაში არ უნდა იყოს, ცხადია, მაგრამ მარტო ქადაგიძე რომ არ არის ლარის კურსის კატასტროფულად გაუფასურების მიზეზი, ამაშიც მალე დავრწმუნდებით. ლარის კურსის დეველაციას, სხვა შიდა ფაქტორები უწყობს ხელს და ეს „შიდა ფაქტორები“ ეკონომიკის არაგონივრულად მართვას, ან უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, უმართაობას უკავშირდება.

კი, ბატონო, გამოვიყვანეთ საზედამხედველო სამსახური ქადაგიძის დაქვემდებარებიდან, მალე ქადაგიძესაც გავისტუმრებთ, მაგრამ, არა მგონია ამან ჩვენს გასაცოდავებულ ლარს უშველოს, თუ ეკონომიკის აღორძინების (ეფექტიანად მართვის) სტრატეგიას და ტაქტიკას არ შევიმუშავებთ. ასლა იმაზე უნდა ვიმტვირთოთ თავი, აქვს თუ არა ასეთი სტრატეგია-ტაქტიკის შემუშავების პოლიტიკური ნება ამ ხელისუფლებას?! ან, იქნებ, არა აქვთ საკმარისი რესურსი, ეფექტიანად მართონ სახელმწიფოს ეკონომიკა? ერთადერთი, რაც ბოლოდროინდელი ხელისუფლებების უნაკლო ხელწერად შეიძლება ჩაითვალოს, დროის გაყვანის და ცრუ მოლოდინის (ცრუ დაპირებების) ტაქტიკაა, რომელმაც სრულად გააღატაკა და მასობრივი ნევროზისკენ წაიყვანა საზოგადოება. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის მიერ წამოწყებულ „ვეტოობანას“ თამაშს მხოლოდ მისი არსებობის შესვენების ფუნქცია აქვს და გაგრძელება მანამ, სანამ ეს თამაში ხალხს ყელში არ ამოუვა! როცა ასეთი თამაში სისტემურ ხასიათს იღებს, მარტო მარგველაშვილი არ ტყუის. ჩვენ კი მედლის მეორე მხარე თითქმის ყოველთვის გვაინფორმირებს. რა ეშვებ „ბავებოვლ“ საქართველოს? ანდრია ლისაშვილი

რთველი დაიწყო!



მაინც, რა ჯდება 1 კილოგრამი ყურძნის მოყვანა?

რთველი ოფიციალურად 3 სექტემბერს დაიწყო. რთველის საორგანიზაციო შტაბი უკვე გახსნილია, სადაც ამ დროისთვის 30-მდე კომპანია რეგისტრირებული. სახელმწიფო გასული წლის მსგავსად, კახელი გლეხების დახმარებას ყურძნის სუბსიდიით ცდილობს. სუბსიდიის სახით, 2015 წლის რთვის ფარგლებში 1 კილოგრამ კახურ მწვანესა და რქაწითელზე - 35 თეთრი, სოლო 1 კგ. საფერავზე 15 თეთრი გაიცემა. გავრცელებული ინფორმაციით, სუბსიდიის ჩათვლით რქაწითელი და მწვანე 70 თეთრი, სოლო საფერავი 85 თეთრი ეღირება. სტიქიის მიუხედავად, წელს კახეთში ყურძნის ჭარბ მოსავალს ელოდებიან. არსებული პროგნოზით, მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით, ყურძნის მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი თითქმის 30%-ით მეტია. ქარხნები ყურძნის მიღებას მომავალი კვირიდან დაიწყებენ.

ეს თანხა, დაახლოებით, 2 800- დან 3 200 ლარამდე მერყეობს. როგორია საშუალო ღირებულება სხვადასხვა ჯიშების შემთხვევაში? ჩვენთან წამყვანი ყურძენი არის რქაწითელი და საფერავი, ამის მიხედვით ხდება დიფერენციაცია. ყველა თეთრნაყოფიანი ყურძენი დაახლოებით რქაწითლის ფორმით გადის. თუ არის მოსავალი 10 ტონა ჰექტარზე, რქაწითლის შემთხვევაში, გამოდის 28-დან 32 თეთრამდე კილოგრამზე. თუ ეს არის საფერავი, სადაც მოსავალი არის 6-7 ტონა, დანახარჯები შედარებით მეტი იქნება, იმიტომ, რომ თვითღირებულება, შესაძლოა, მეტი იყოს - მაგალითად, 40 თეთრი. ჩვენ ძალიან კარგი მევენახეები გვყავს, რომლებიც საკმაოდ კარგად ასრულებენ საჭირო ღონისძიებებს: წამლობას, მწვანე ოპერაციებს, გასვლით ღონისძიებებს, წვერის გადაჭრას და იღებენ საკმაოდ კარგ შედეგს. არიან ფერმერები, რომლებიც 12-15 ტონას კრეფენ ჰექტარზე.

მაინც, რა უჯდება, საშუალოდ, 1 კგ. ყურძნის მოყვანა გლეხს და რა განსაზღვრავს, რეალურად, ყურძნის ფასს. ამ საკითხთან დაკავშირებით Bpi.ge-ს შეკითხვებს პასუხი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დეპარტამენტის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა ზვიად ბობოქაშვილმა გასცა: შეიძლება, ერთი ჰექტარიდან, გამართული აგრონომიული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, 10 ტონა ყურძენი მიიღოს გლეხმა. მაგრამ ერთი ოპერაციაც რომ ჩავარდეს, იმავე ერთმა ჰექტარმა ვენახმა შეიძლება 3 ტონა ყურძენი მოგვცეს. შეიძლება დანახარჯი ერთი და იგივეა, მაგრამ მოსავალი თუ მალალი არ არის, თვითღირებულების გამოთვლა ასეთ შემთხვევაში რთულია. ამიტომ ხდება საშუალო მოსავლიანობის (რომელსაც ერთ ჰექტარ მიწაზე ველოდებით) და საშუალო ღირებულების (რაც აგროღონისძიებებზე შეიძლება დაიხარჯოს) დადგენა.

როგორ უნდა მოიტყვეს გლეხი, რომ ყურძნის კარგი მოსავალი მიიღოს? სტანდარტულად, რამდენიმე კრიტიკული მომენტი... აგრონომიულ ღონისძიებებს ერთი თავისებურება აქვს. მაგალითად, კონკრეტული ღონისძიება - წამლობა, ან გაფურჩქვნა, ან წვერის გადაჭრა - უნდა განხორციელდეს კონკრეტულ დროში. თუ ეს ღონისძიება დაგვიანებით განხორციელდება, შედეგი ერთი გასათვალისწინებელი მომენტია მეჩხერიანობა. შეიძლება ვენახში, რომელიც 2800 მცენარისთვის არის განკუთვნილი, რეალურად 1500 მცენარე გქონდეთ გაშენებული, ანუ საჰექტაროზე ნაკლები, მაგრამ ღონისძიებების დროს დანახარჯი თითქმის იგივეა, რაც სრულ მსხმოიარზე. ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც საჭიროა. ჯაჭვიდან ერთი რგოლის ამოვარდნა, შესაბამისად, საბოლოო შედეგზე აისახება.

რამდენია საშუალო ღირებულება?

თამარ კორკოტაშვილი

Table with 3 columns: №, სამუშაოს დასახელება/მასალები, ღირებულება (ლარი). Rows include: 1 მინერალური სასუქები შეტანით (250), 2 საშემოდგომო მოხვნა (130), 3 კულტივაცია - 3 ჯერ (180), 4 გასხვლა (280), 5 ანახსნავის გამოტანა (60), 6 შპალერის რემონტი (120), 7 დაკავება (შეყვლა) (200), 8 მწვანე ოპერაციები ორჯერ (400), 9 თავის გადაჭრა (150), 10 ჰერბიციდების შეტანა - 2 ჯერ (180), 12 მცენარეთა დაცვის საშუალებები, შეწამვლა (1000), ჯამი: 2950

ნაკლები ბიუროკრატიული ხარჯები

ჭამაში მებრები პარტი!

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები, ნავთობზე ფასების ვარდნა და სხვადასხვა ქვეყანაში ეროვნული ვალუტების გაუფასურება უარყოფითად აისახება არაერთი ქვეყნის ეკონომიკაზე. თუმცა, ექსპერტების თქმით, საქართველოს შეუძლია სხვა სახელმწიფოების კრიზისის სათავისოდ დადებითად გამოიყენოს.

როგორ უნდა ისარგებლოს საქართველო სხვა ქვეყნების ეკონომიკური კრიზისით?

ტრიბუციო კომპანია „მზიურშიც“: „უკრაინიდან და რუსეთიდან ზეთი და მკაკრონი შემოგვაქვს. ამ ქვეყნებში ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიუხედავად, ჩვენ მიერ იმპორტირებული პროდუქციის ფასები აქ მაინც იზრდება. უფრო მეტიც, რუსმა მომწოდებელმა ფასი გაგვიძვირეს კიდევ. ადრე რამდენადაც ვყიდულობდით, ახლა ისე ვეღარ ვყიდულობთ.“

ექსპერტ სოსო არჩვადის თქმით, რუსეთსა და უკრაინაში ვალუტების დევალვაცია ამ ორი ქვეყნიდან საიმპორტო საქონლის ფასების შემცირებაზე უნდა აისახოს. „არის გარკვეული პოზიტიური მოვლენები, რომელსაც გამოიყენება უნდა. საქართველოში სურსათის იმპორტი საკმაოდ სოლიდურ ადგილას იკავებს. თუ შევადარებთ იმპორტს და ექსპორტს, აღმოჩნდება რომ ჩვენ ნახევარი მილიარდი დოლარით მეტი სურსათი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. ამ შემთხვევაში იმპორტის გაზარდვა ხელს შეუწყობს სავაჭრო ბალანსის გამოსწორებას“, - თქვა სოსო არჩვადემ.

ესე ვეღარ ვყიდულობთ. ექსპერტ ლევან კალანდაძის თქმით, განსხვავებულ ტენდენციას ნავთობის ფასთან დაკავშირებით. „ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები შავ ოქროზე ფასის დაცემით ზარალდებიან, ჩვენ კი პირიქით, ვინაიდან საქართველო არის ნავთობის მომხმარებელი. როცა ნავთობზე ფასი ეცემა, ქვეყნიდან გასული ვალუტის მოცულობა მცირდება. ანუ გვინებს ნაკლები დოლარის გადახდა და ეს ქვეყანაში სავალუტო სტაბილიზაციის კუთხით კარგი ტენდენციაა. ლარის კურსი სომ შნიშნულთან დადამოკიდებულია ქვეყანაში შემოსული და ქვეყნიდან გასული სავალუტო მა-



bpi-ი დაინტერესდა თუ რამდენად აისახა გრინისა და რუბლის გაუფასურება საქართველოში იმპორტირებული საქონლის ფასებზე. კომპანია „ინტრედი“ რამდენიმე ქვეყნიდან სხვადასხვა სახის პროდუქციის იმპორტს ასოცირებულს. კომპანიის გაყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის ბესო სვანიძის თქმით, მიუხედავად რუსეთში ვალუტის დევალვაციისა, მათ მიერ იმპორტირებული პროდუქტები არ გაიზარდა, პირიქით, ადგილობრივ ბაზარზე გაძვირდა კიდევ: „რუსეთიდან არაყი შემოგვაქვს. პროდუქტია რუსი მომწოდებელი კომპანიის არც გაუზარდა და არც გაუძვირდა. თუმცა, კურსთა შორის სხვაობას მოჰყვება აქ გაძვირება. ჩვენ იქ დოლარსა და ევროში ვყიდულობთ, აქ კი ლარში ვყიდით. შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულება გაძვირდა. უკრაინიდან ყველი და არაყი შემოგვაქვს. უკრაინულ პროდუქტიაზეც იგივე შემოიძლია ვთქვა.“

სების ურთიერთანაფარდობაზე. ასევე მსოფლიო ბაზარზე დაღმავალი ფასი პირდაპირ უნდა აისახოს საქართველოში საცალო ქსელში ნავთობპროდუქტების ფასზე. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნავთობპროდუქტების მოხმარების ზრდას, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან“, - ამბობს ლევან კალანდაძე.

ანალიტიკოსების მოსაზრებით, იმისთვის რომ საქართველომ სხვა ქვეყნების ეკონომიკური კრიზისის სარგებლობა დაეწყო, უნდა იქონიოს საკმაოდ მაღალი კონკურენტუნარიანობა და არც გაუძვირდება. თუმცა, კურსთა შორის სხვაობას მოჰყვება აქ გაძვირება. ჩვენ იქ დოლარსა და ევროში ვყიდულობთ, აქ კი ლარში ვყიდით. შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულება გაძვირდა. უკრაინიდან ყველი და არაყი შემოგვაქვს. უკრაინულ პროდუქტიაზეც იგივე შემოიძლია ვთქვა.“

იმავე პრობლემაზე საუბრობენ სადის-

თამთა ჯიჯავაძე

კაკალ გულში

ნეხცილოვანი თქაზები

მე შემიძლია აქ რაღაც ვინაგლო, მაგრამ აი თქვენ რო წამოშალა კულტურა ბიძინას დამსახურებით მან და თმინის ვალდებულება გაკისრიათ, ენას კბილი უნდა დააჭიროთ, ან ქვეყნის თქვათ რამე. საკუთარი გულში მაინც არ უნდა ჩააგდოთ უხერხულ მდგომარეობაში თქვენი რეპუტაცია თუ ფეხებზე გკიდიათ, ბატონო თამაზ III

ბერუშაშვილი მოსხნეს, გრიგოლია დასურეს, ამბობენ სექტემბრის ბოლოსკენ კიდევ უფრო საინტერესო ამბები დაიწყო. ლუდი, მარლიანი პოპკორნი და ფართო ეკრანიანი ტელევიზორი მინდა (დივანი მაქვს). ნაღდი „შემოდგომის აზნაური“ ქვეყანა გავხდით (სეზონიც ხელს გვიწვობს), - დიდი ზარ-ზეიმით ვატარებთ ათასგვარ იბომატებს და ამბასარბოდილებს და მერე ვსხედვართ მზივრები და ტრაკამოსელები

სოფლის მეურნეობა რა უნდა!..

რომელიც საკუთარ ინდუსტრიას ასე ექცევი, რომელი ჭკუათმყოფელი ჩამოვა აქ ინვესტიციების ჩასადებად?

კანონპროექტზე, რომელიც უალკოჰოლო სასმელების მარკირებას ითვალისწინებს, მთავრობა უკვე რამდენიმე წელია, მუშაობს. ჯერ კიდევ სამი წლის წინ, 2012 წლის 24 აპრილს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის №129 ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა არააქტიური საქონლის მარკირების სავალდებულო წესი. ამ ბრძანების თანახმად, სავალდებულო მარკირებას უნდა დაექვემდებაროს არაალკოჰოლური სასმელები, მათ შორის, მინერალური და მტკნარი წყალი. ელექტრონულ მარკირებას, საქართველოს სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შვეიცარიული კომპანია „სიქფას“ შვილეული კომპანია ახორციელებს, რომელმაც სახელმწიფოსთან დადებული კონტრაქტის თანახმად, განუვლი მომსახურებისთვის შესაბამისი საფასური უნდა მიიღოს. საქონლის სავალდებულო ნიშანდება, ანუ მარკირება 2013 წლის 1 იანვრიდან უნდა განხორციელდეს, თუმცა საკითხი რამდენჯერმე გადაიდო და ახლა ბოლო ვადად წლევანდელი 1 ნოემბერი სახელდება. ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებენ ბიზნესის წარმომადგენლები: „ამ სერვისისთვის ხარჯების განვივის ყველა ვარიანტი, რომელიც შემოთავაზებულ იქნა შესაბამისი ორგანიზაციების მხრიდან, არასამართლიანი და არარაციონალურია... ეწინააღმდეგება როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფოს ინტერესებს“, - ნათქვამია წერილში, რომელიც მენარმეებმა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიას შვილს მისწერეს. ბიზნესის ნაწილი მიიჩნევენ, რომ სავალდებულო მარკირება პროდუქციის გაძვირებას გამოიწვევს.

მოსალოდნელ მარკირებას მწვავედ აკრიტიკებს კომპანია „ნატახტარის“ კორპორატიული საქმეთა დირექტორი - ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი:

საქართველოს, როგორც ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა ქვეყანას, ვალდებულება აქვს აღებული, რომ ჩვენი კანონმდებლობა ჰარმონიაში იყოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ევროკავშირის ქვეყნებში კი, მსგავსი პრაქტიკა არ მეუბლება, სამაგიეროდ, მარკირება მოქმედებს ჩვენს მეზობელ სომხეთში, ბელორუსში, მაროკოში, ბრაზილიაში და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში. თუ ჩვენ გვინდა ევროკავშირის დონის ქვეყანა ავაშენოთ, უპირველესად, ევროპის ქვეყნების გამოცდილება უნდა გავიზიაროთ. ამბობენ, რომ ქვეყანაში აღურიცხავი საქონლის პრობლემა დგას და ამ პრობლემის მოგვარება წინასწარი მონაცემებით, 5 მილიონი ლარი დაგვიჯდება, ეს თანხა მარკირებაში ან ჩვენ უნდა გადავიხადოთ, ან სახელმწიფომ. ჯერ არ არის გადაწყვეტილი ვინ გადაიხდის, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ეს ტვირთიც ბიზნესს დააზარალებს. დავუშვათ, სახელმწიფომ გადაიხადოს, მაშინ ეს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტისთვის და ეროვნული ვალუტისთვის იქნება ტვირთი, რაც ასევე არ არის მოსაწონი. მოგვცხენებათ, ლარის გაუფასურებამ ბიზნესი ყველაზე მეტად დააზარალებს. თანაც, ეს არაა დეკვატურად დიდი თანხა. ძალაუნებურად მიჩნდება კითხვა - თუ ქვეყანაში ამ რაოდენობის ალურისკავი საქონელი ბრუნავდა, მაშინ ბოლო სამი წლის განმავლობაში სად იყო ეს ხალხი?! ძირითადად, აქ საუბარია წვრილ მენარმეებზე და იაფფასიან პროდუქტებზე, რომლის ხარისხიც სურსათის უვნებლობის სამსახურის ჩარევით უნდა შემოწმდეს და არა ელექტრონული მარკირებით. ლიმონათის მცირე სანარმოები შემთხვევითი შერჩევით უნ-

ყველა ჭკუათმყოფელი ინვესტორი სათოფეზე არ მოგვეპარება,

ანუ მარკირება - კიდევ ერთი ბარიერი ბიზნესისტვის?

და შეამონწონ, თორემ ჩვენ 100 %-ით გამჭვირვალე საქმიანობა გვაქვს. ასეთია ჩვენი არგუმენტები.

ნიკოლოზ ხუნძაკიშვილი უარყოფითად აფასებს 5 მილიონი ლარის უცხოური კომპანიისთვის გადახდასაც:

- ჩემი აზრით, ეს უმიზნოდ დახარჯული ფული იქნება, რაც შეეხება „სიქფას“, ეს არის ბიზნესი და როგორც ჩვენ, ისიც ცდილობს, რაღაც მოგება მიიღოს. თუ სახელმწიფო ამის საშუალებას მისცემს, რატომაც არა? „სიქფას“ მიმართ



მე პრეტენზიები არა მაქვს, მე პრეტენზიები მაქვს იმ არაჯანსაღი მიდგომის მიმართ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის მიმართ ჩამოყალიბდა: მსხვილი კომპანიაა, ფული აქვთ, ყველაფერს იხდიან და ბარემ ამასაც გადაიხდიან. ყოფნა-არყოფნის საკითხი ჩვენთვის არ დგას, შესაბამისად უფრო მეტს ნავგაობთმევენ, მაგრამ ამ ყველაფერს სხვებიც ხომ უყურებენ? - საკუთარ ინდუსტრიას რომ ასე მოექცევი, რომელი ჭკუათმყოფელი ჩამოვა აქ ინვესტიციების ჩასადებად? ეს არ არის ჯანმრთელი პროცესი და ჩვენ მას ეწინააღმდეგებით. მარკირებისთვის გაღებული თანხა იქნება აბსოლუტურად ზედმეტი ხარჯი ინდუსტრიისთვის და სახელმწიფო ბიუჯეტისთვისაც. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ არის გადაწყვეტილი, ვინ გადაიხდის ამ თანხას. პირობა იყო, რომ სახელმწიფოს უნდა გადაეხადა, ოღონდ ეს მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმებაა, რადგან არანაირი ოფიციალური დოკუმენტი ჩვენსა და სახელმწიფოს შორის არ არსებობს. რეალურად, „სიქფასა“ და სახელმწიფოს შორის არის გაფორმებული ხელშეკრულება და არა - „სიქფასა“ და ჩვენს შორის. ეს ხელშეკრულება ისე გა-

ფორმდა, თითქოს ჩვენ საერთოდ არ ვარსებობდით. ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავს. სხვათა შორის, ფინანსთა მინისტრიც აღიარებს, რომ ეს კაბალური ხელშეკრულებაა და მისი გადახედვა შეიძლება.

თუ ამ თანხას სახელმწიფო არ გადაიხდის, მაშინ ინდუსტრიიდან წელიწადში 5 მილიონი ლარი უნდა ამოიღონ: თუ ეს ფული ჩვენ უნდა გადაგვხადონ, მაშინ მის დასაფარავად მინიმუმ 25 მილიონი ლარის პროდუქცია უნდა გავყიდოთ. ეს იმ პირობებში, როდესაც ლარის კურსის დევალაცია აქვს ადგილი და როცა ხალხის მსყიდველობითუნარიანობა დაბალია. ეს ხომ ერთიანად შეჭამს ჩვენს მარკეტს? ან, მე რატომ უნდა გადავიხადო, როცა აღმინისტრირება სახელმწიფოს ფუნქციაა? ბოლოს კი ვიტყვი, რომ ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა: პრემიერ-მინისტრის და ჩვენი მინისტრების ნებისმიერი განცხადება ბიზნესის შესახებ, ქრესტომათიულია, მაგრამ პრაქტიკაში სულ სხვა რამ ხდება. მთავარი ოფიციალური განცხადებები კი არ არის, მთავარია, როგორ ექცევა ბიზნესს სახელმწიფო. უალკოჰოლო სასმელების მარკირება ჩვენს ბიზნესს მხოლოდ ზიანს მოუტანს - აცხადებენ კომპანია „ნაბელავის“ წარმომადგენლები:

ვიკტორია თიქო: კომპანია „ნაბელავის“ პირსამსახურის უფროსი: მე მგონი, გასაგებია, თუ რა ზიანს მოუტანს ბიზნესს ამ გადაწყვეტილების სასურველი მოყვანა. სწორედ ამიტომ, ყველა კომპანია, რომელიც ამ დარგში საქმიანობს, მარკირების წინააღმდეგია. ჩვენ არაერთხელ ვცადეთ ეს არგუმენტები ფინანსთა მინისტრისთვის გაგვეცნო, მაგრამ ნოდარ ხაღურმა უარი თქვა შეხვედრაზე და ბიზნესის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება. ფინანსთა სამინისტროს არანაირი არგუმენტი არა აქვს, თუ რისთვის არის საჭირო ამ ეტაპზე უალკოჰოლო სასმელების მარკირება, ამიტომ, ჩვენ პრემიერთან ვითხოვთ შეხვედრას, რომ ჩვენი არგუმენტები გავაცნოთ და ეს ბრძანება გაუქმდეს.

რაც შეეხება სახელმწიფოსთვის მიყენებულ ზარალს, თუ მარკირებისთვის საჭირო ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, მას ეს წელიწადში 5 მილიონი ლარი დაუჯდება. იმის გათვალისწინებით, რომ „ქამრების შემოჭრაზე“ საუბარი, 5 მილიონის გადახდა უცხოური კომპანიისთვის რაღაც გაუგებარ რეგულაციაში გამართლებულ გადაწყვეტილებად არ მიგვაჩნია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია ის, რომ აღრიცხვიანობის მონესრიცაა ჩვენ არ გვცხადს: ჩვენთან 1 მილილიტრი პროდუქციაც კი ვერ ჩამოიხსმება ისე, რომ არ გაკონტროლდეს. ჯერ წყლის გადასახადი გაგვიზარდეს, ახლა ამას მარკირების ხარჯებიც დაემატება, მერე კიდევ სხვა რამ... დაგვერწმუნეთ, ეს ხარჯები ყველაზე უფრო მსხვილ, წელგამართულ ბიზნესსაც კი ურტყამს“.

განსაკუთრებით მწვავედ აფასებენ უალკოჰოლო სასმელების მარკირებას მცირე კომპანიების წარმომადგენლები. შპს „ლალიძის“ დირექტორმა თორნიკე ლალიძემ შექმნილი სიტუაცია რამდენიმე წინადადებათი შეაფასა: „თუ უალკოჰოლო სასმელების მარკირება დიდი ბიზნესისთვის არ არის მისაღები, მაშინ რაღა უნდა თქვან შედარებით მცირე ფირმებმა?! ეს იქნება ზედმეტი ხარჯი ნებისმიერი კომპანიისთვის, მით უმეტეს, საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს გადაწყვეტილება ბიზნესის სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს“.

საბუხა ჩიბოგიძე

ტარიფოვანა თუ არიფოვანა?!

რატომ დაარტყა დენმა თბილისსას?

(მეორე გვერდიდან) ამდენად, თავისთავად ცხადია, რომ თბოელექტროსადგურმა გამომუშავებული ელექტროენერგია უფრო ძვირად უნდა გაყიდოს, რომ მეტი ლარი მიიღოს. მაგრამ, როცა თბოელექტროსადგური ელექტროენერგიას უფრო ძვირად ყიდის, მისგან მას დისტრიბუტორი კომპანიები „ენერგო პრო ჯორჯია“ და „თელასი“ ყიდულობენ, ამიტომ შესასყიდი ფასი მათაც უძვირდებათ, ამდენად იძულებულნი არიან, ხარჯი დააბალანსონ, ეს კი უკვე სამომხმარებლო ტარიფის გაზრდას იწვევს.

აი, სწორედ ეს გახლავთ ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც გამანაწილებელმა კომპანიებმა და თბოელექტროსადგურებმა სემეკში განცხადება შეიტანეს, რათა ტარიფში შესაბამისი ცვლილებები მომხდარიყო. სემეკმა მათი განცხადებები განიხილა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღო.

კონკრეტულად თუ განვიხილავთ „თელასის“ საკითხს, უნდა ითქვას, რომ ელექტროენერგიის ტარიფის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი არის მისი შესასყიდი ფასი, მეორეა მთლიანი საექსპლუატაციო ხარჯი, რომელიც, თავის მხრივ, სამი ძირითადი მდგენლისგან შედგება. ესენია, კერძოდ,

დანაკარგები, საოპერაციო ხარჯი და საინვესტიციო დანახარჯი.

როცა ვლადპარაკობთ რომ ელექტროენერგიის შესყიდვის ფასი საგრძობლად გაიზარდა, საინტერესოა, რა ხდება ამ დროს დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებაში. მაგალითად, ქსელში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგები „თელასს“ ჰქონდა განსაზღვრული 12,4 პროცენტით, რაც ჯერ კიდევ 2007 წელს იყო დამტკიცებული. იმ დროს დანაკარგები მართლაც ძალიან დიდი იყო, მაგრამ ამის შემდეგ კომპანიამ ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა ქსელის ტექნიკურად მოსაწესრიგებლად და, შესაბამისად, დანაკარგებიც შემცირდა, 5,34 პროცენტზე და-



ლასს“ ჰქონდა განსაზღვრული 12,4 პროცენტით, რაც ჯერ კიდევ 2007 წელს იყო დამტკიცებული. იმ დროს დანაკარგები მართლაც ძალიან დიდი იყო, მაგრამ ამის შემდეგ კომპანიამ ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა ქსელის ტექნიკურად მოსაწესრიგებლად და, შესაბამისად, დანაკარგებიც შემცირდა, 5,34 პროცენტზე და-

ვიდა, ანუ მთელი 7 პროცენტით ნაკლები გახდა. ეს 7 პროცენტი ფულში რომ გადავიყვანოთ, დაახლოებით, 10 მილიონ ლარს მივიღებთ. უხეშად თუ ვიტყვი, ეს თანხა ტარიფს მოაკლდა.

გარდა ამისა, არის საოპერაციო ხარჯი, რომელშიც, როგორც სემეკმა განაცხადა, საკმაოდ სერიოზული რეზერვები გამოიძებნა, რამაც „თელასის“ წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია - ეს თანამშრომელთა ხელფასებზე აისახებაო, რომლებიც დიდი ხანია არ გაზრდილა. თუმცა კი, მათ დაუმტკიცეს, რომ საოპერაციო ხარჯის შემცირება, ძირითადად, საპრემიო ფონდს შეეხო.

კიდევ ერთი კომპონენტია საინვესტიციო დანახარჯი. ამ მხრივაც, 2015-16 წლებში „თელასს“ ჩადებული ჰქონდა დაახლოებით 80 მილიონი ლარი, თუმცა სემეკმა ეს თანხა 32 მილიონ ლარამდე შემცირდა.

ამ ყველაფერმა, ტარიფის 5,7 თეთრით მომატების მოთხოვნა დაახლოებით 3,7 თეთრამდე ჩამოიყვანა, რითაც ის გაიზარდა.

ამდენად ლარის კურსის ვარდნამ ენერგეტიკაში ხარჯი გაზარდა, თუმცა კი, ბუნებრივია, რომ თავისთავად ტარიფის გაზრდა არც ერთ მომხმარებელს, მით უფრო სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას, არ მოსწონს. ვიმეორებ, ობიექტური რეალობა სწორედ ასეთია.

ოთარ ტურაბალიძე



ყოველკვირული ლიტერატურულ-კულტურული ჩანაწერი №243

„სამშაობოზე მისაღებად განცხადება დამაწერინეს და საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ჩემი ანკეტის შევსება დაიწყო:

- სად დაიბადე და როდის?
 - 1921 წლის 14 თებერვალს, ქ. სოხუმში.
 - ვინ არიან მშობლები?
 - დედა - მარია მხივილის ასული ჩიკვაიძე, ამჟამად მეთავე, მამა - არზაყან (დიმიტრი) ემუხვარი იმყოფება პარიზში, რომელიც 1921 წლის თებერვალს, როგორც აფხაზეთის თავმჯდომარე, გაჰყვა ჟორდანიას.
 - თუ გყავს დედამამიშვილი?
 - მყავდა ერთი ძმა ვლადიმერ დიმიტრის ძე ემუხვარი, რომელიც 1937 წელს, ნოემბერში, რიცხვი არ ვიცო, დახვრიტეს, როგორც ემიგრანტის შვილი.
 - რა განათლება გაქვთ?
 - წარჩინებით დაავითარე ქუთაისის პირველი საცდელი სანიმუშო სკოლა.
 - ხართ თუ არა პარტიის წევრი ან კომპარტიზირებული?
 - არ ვყოფილვარ არც ოქტომბრული არც პიონერი, არც კომპარტიზირებული, ვინაიდან, როგორც ემიგრანტის შვილს, არ მღებულმდენ.
 - რა დამოკიდებულება გაქვს სამხედრო სამსახურთან.
 - არავითარი. ჯარში არ გავუწევია ვართ, როგორც არასაიმედო ოჯახის შვილი.
- ამ ანკეტის შევსებით დაიწყო და დამთავრდა გივი ემუხვარის კარიერა, ემიგრანტის შვილის. მისი დღიურის ჩანაწერებში დღეს პირველად ქვეყნდება (გადმოგვცა ნატო მარშანიამ არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის შთამომავალმა და ბიოგრაფმა).

* * *

„მინც საქართველოს და აფხაზეთის ისტორიას იცნობს, მათი განცალკევების თუნდაც უბრალო წარმოდგენა შეუძლებელია“. - წერდა მეგობარს აფხაზეთის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი დიმიტრი ემუხვარი.

წერილიდან: „საჭირო და აუცილებელია საქართველო-აფხაზეთის შედუღება და ყოველგვარი მათი განცალკევების საბაზის მოსპობა. ამისათვის საქართველოს მოღვაწეებმა უნდა დიდი სიფრთხილით მოეპყრან აფხაზეთს, რომელიც საქართველოს დასავლეთის დიდი მნიშვნელობის კარია... საჭიროა სიფრთხილე და მიზანშეწონილი მოქმედება, რომ აფხაზეთის ცრუ პარტიოტებმა საბაზი არ იშოვონ, თითქოს საქართველო უყურადღებოდ ექცევა მათ... ამას მოითხოვს საქართველო-აფხაზეთის საერთო ინტერესები“.



ვლადიმერ (კუჭიკო) ემუხვარი.

უკვე დავვიანებული, უკან მიღვენიებული ლამპარით, უღერს არზაყან ემუხვარის ეს სიტყვები, მაგრამ თუ დროს ერთ განუყოფელ მთლიანობად განვიხილავთ, შესაძლოა, ჩვენ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, წარსულისა და მომავლის გზაჯვარედინზე, იმ წარსულის, რომელიც აფხაზეთთან გენეტიკურად გვაერთიანებს.

სტამბულის გავლით, პრალაში ემიგრირებული არზაყან ემუხვარი მრავალ, თანდათან უკვე განუხორციელებელ იმედოვან შორის, საკუთარ ოჯახთან, მეუღლესთან და ორ ვაჟთან შეყრის შესაძლებლობაზე ფიქრობდა. „ჩემო საიმედო ვაჟო, იყავი გონიერი და ფრთხილი წინასწარ გეგმის შედგენაში და მიზნის დასახვაში, ხოლო შეუდრეკელი და მდებარი მათ სისრულეში მოსაყვანად“...

გივი ემუხვარის დღიურიდან: „მამა ყოველთვის იწერებოდა წერილებს, გვიგზავნიდა ამანათებს, რომელსაც ჩვენ იმ დროს გახსნილ ტორქსინის მალაზიიდან ვღებულობდით. მიუხედავად იმ ტრეზში დიდი გაჭირვებისა, ჩვენი ოჯახი, მამის წყალობით, დიდად უზრუნველყოფილი იყო. მახსოვს, ერთ მშვენიერ დღეს დედამ კედელთან კოჭის ძაფით აიღო ჩემი ზომები: სიმაღლე, გულმკერდი, ფეხი და ხელის სიგრძეები. ეს დაჭრილი ძაფები ჩააწყო ცალკე კონვერტში

და დააწერა „გივი“, ხოლო ასევე ჩემი ძმის ზომებიც ჩადო მეორე კონვერტში და დააწერა „კუჭიკო“. დედა წერდა წერილებს ქართულ ენაზე, ხოლო მისამართს ჩემი ძმა კუჭიკო აწერდა გერმანულ ენაზე. მიაღწია რა ამ კონვერტებმა დანიშნულ ადგილზე, გაუშლიათ და ძაფებიდან აუწყვიათ „ჩონჩხი“ რათა გაუკეთდეს სამედიცინო დასკვნები. მამას აინტერესებდა თუ როგორი იყო ჩვენი სხეულის აგებულება და ნორმალურად ვითარდებოდა თუ არა ჩვენი ორგანიზმი, რის შემდგომაც გაკეთდა სამედიცინო დასკვნები, სადაც იწერებოდა, რომ კუჭიკოს ორგანიზმის ზრდა ნორმალურად მიმდინარეობდა, ხოლო ჩემზე

უკმაყოფილებას გამოთქვამდა: „ეტყობა კვება აკლია ორგანიზმს“, რის გამოც ვღებულობდით გაორგებულ ამანათებს, სადაც ეწყო პროდუქტები და მუდამ იყო რაღაც წარწერა... ასე რომ ჩვენს ოჯახს გაჭირვება არ უნახავს...

ერთ საუბედურო დღეს ჩემმა ძმამ დედას დიდი მორალური და თავმდაბლური გამოთქმებით, სთხოვა, რომ შეეწყვიტა მამასთან მიწერ-მოწერა, ვინაიდან, მისი თქმით, მრავალჯერ წამოუძახებიათ: „შენ არასაიმედო პიროვნება ხარ, ემიგრანტის შვილი, რომელსაც მამასთან მიწერ-მოწერა, ურთიერთობა გაქვს“... და მართლაც, 1937 წლის

„24 მარტს, დილის 6 საათზე, პარიზის საავადმყოფოში „კლოდ მერნარი“ გარდაიცვალა სისხლის მოჭამვისგან არზაყანი ემუხვარი, საქართველოს დიდი პატრიოტი და აფხაზეთის სწორუპოვარი შვილი, მისი მეთაური და მოამაგე“ - იუწყება საფრანგეთის ემიგრაციაში გამოშავალი გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ 1938 წლის მარტში.

არსებობს ვერსია, რომ პარიზში ორი კვირის წინ ჩასული პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე არზაყან ემუხვარი მოწამლეს.

„დიდი ხნის უნახავმა და 15 დღის წინათ ჩამოსულმა, შენ სწრაფად გააცხოველე გრძობა სიყვარულის და პატივისცემისა, იმათაც კი, ვინც პირადად არ გიცნობდა. ჩვენ კი ვიხილეთ შენში ძველი არზაყანი - მხნე, იმედით სავსე, მუდამ საქმისთვის თავდადებული. რა სიხარულით და მოუთმენლად მოეჩქარებოდი შენ პარიზში, ჩვენსკენ, არა მხოლოდ ძველი მეგობრების სანახავად, არამედ ჩვენს საქმესთან უფრო დასახლოვებლად... და რა უმედური მასპინძლები გამოგდევით ჩვენ! რამდენიმე დღეც არ დაგვცალდა შენთან ურთიერთობის. ასე უეცრად თავბარდაცემულნი, შენი ღია საფლავის წინაშე ვდგავართ უსაზღვროთა ძმაო, არზაყან, ჩვენი მწუხარება. კონსტანტინე კანდელაკი“.

უბასუხოვდ დარჩენილი წარსული

ემიგრანტის შვილის დღიურიდან



არზაყან ემუხვარი

28 ივლისს, როდესაც ფოსტალიონმა მამის წერილი მოიტანა, დედამ არ მიიღო, უკან დაბრუნებისას, როგორ კოცნიდა და როგორი ცხარე ცრემლები ეცემოდა მამის გამოგზავნილ წერილზე... ვფიქრობ, ის ცრემლები კონვერტზე დატოვებდა თავის კვალს, რომელსაც არზაყანიც შეამჩნევდა და თავის დასკვნას გამოიტანდა თუ რატომ დაბრუნდა წერილი უკან“...

მაგრამ ასე არ მოხდა... არზაყან ემუხვარის წერილიდან: „ჩემო საყვარელო მეუღლე, სანატრელო ვაჟებო! გავეირვებული ვარ თქვენი სიჩუმით, არავითარი ცნობა თქვენზე და თქვენს ჯანმრთელობაზე არ მიმიღია. რა-შია საქმე? ავადმყოფობა გაგვგრძელდათ? ჩემი თხოვნაა, გეცნობებინათ, ჩვენსას როგორ არიან, ვინაა ცოცხალი, და ვინ როგორაა, რატომ არ შემისრულეთ? დაბეჭითებით გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხართ ჯანმრთელობით... ჩემი დარდი ნუ გექნებათ, მხოლოდ თქვენი ამბის უცოდინრობა მაწუხებს... შეოთხე თვეა ერთი წერილიც არ მაღიწესეთ... ნუთუ ყველა იკარგება? იყავით კარგად, გაოცებთ ყველას, არზაყანი, 13.11.34 წ. ქ. პრალა.“

* * *

პრალიდან მოვიდა დეპეშა: პრალის ქართველები გაცემულნი და უზომოდ შეწუხებულნი ვართ, დავსტირით ჩვენს გაუტეხელ, ერთგულს და კეთილშობილ არზაყანს საქართველოს დიდ პატრიოტს. ვიხდით პანაშვიდს. მიხეილ უმირია“.

P. S. არზაყან ემუხვარის ცხოვრებასა და ბედზე, ემიგრაციის წლებზე, ეპოქის რთული რეალიების ფონით, განხორციელებულ და განუხორციელებელ იმედებზე, დოკუმენტურ ფილმს, სახელწოდებით „უღრმოების გმირი“ ამზადებს საპატრიარქოს ტელევიზიის სტუდია „ავტორრაფი“, პრემიერა შედგება 26 ოქტომბერს, არზაყან ემუხვარის დაბადებიდან 135 წლისთავზე.



გიორგი ემუხვარი

მკითხველს შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტმა სოფო კილასონიამ გაზეთში „24 საათი“ უდიდესად მოიხსენია ქართული კლასიკური ბალეტის შემქმნელი, მსოფლიო-ში აღიარებული ბალეტმასტერი მახსანდ ჯაბუკიანი და მისი უდიდესი ღვაწლის დაკნინებას შეეცადა. ასეთი მწვავე რეაგირება დიდი ხანია საზოგადოებას არ გამოუხატავს.

მოგვიანებით შევიკრიბნენ ვ. ჯაბუკიანის შინა-მუზეუმში: კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მუსიკატორი მარამ მარამიძე, ყოფილი ბალეტის რეჟისორი რუსუდან მერიძე, ყოფილი მოცეკვავე იმარ მხეიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორები მერაბ გეგია და გუბაზ მეგრელიძე.

გუბაზ მეგრელიძე – დღეს, ჩვენ შევიკრიბეთ იმ საზოგადოების მოთხოვნით, რომელიც აღამოფოთა გამოქვეყნებულმა ორმა სტატიამ, რომელიც მიზნად ისახავდა ვახტანგ ჯაბუკიანის ღვაწლის შეგნებულად დაკნინებას. მართალია, თავად სტატიების ავტორი ასეთ ყურადღებას არ იმსახურებს, არც ჟურნალისტიკასა და თეატრალურ სფეროში არაკეთილ ავტორიტეტს არ წარმოადგენს. შეიძლება ს. კილასონია ყურადღების მიქცევასა და პოპულარიზაციას მოელოდა, მსგავსი პრეცედენტის განმეორება არ უნდა დაეშვათ. ამიტომაც, ჩვენს შეფასებას დიდი მნიშვნელობა ექნება საზოგადოებისა და იმ მომავალი თაობის სპეციალისტებისთვის, რომლებსაც უნდა ესმოდათ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობის და დაცვის ფასი.

ვაჟა აზარაშვილი – წილად მხვდა ბედნიერება, მენახა ვახტანგ ჯაბუკიანის დადგმები. იგი გახლდათ მოვლენა, წარმოადგენელი მოცეკვავე. სცენაზე რაინდი იდგა არაჩვეულებრივი ტექნიკით, საოცარი მოხიბვლელობითა და ვირტუოზული შესრულებით. მან, ჯერ კიდევ 1934 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გასტროლენისას დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, 30-იან წლებში ლენინგრადში უდიდეს სოლისტად ითვლებოდა, მისი რუსეთში დატოვება უნდა დათ, მაგრამ ვახტანგი ნამდვილი პატრიოტი იყო და გულმა საქართველოსკენ გამოუწია, ამიტომაც ქართული კლასიკური ბალეტის შემქმნელად მოგვევლინა.

ღრმად ყველაფრის განმსაზღვრელია და არ შეიძლება დღევანდელი თვალთ შევხედოთ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ მოვლენებს. იგი ხელს უწყობდა ეროვნული ბალეტის განვითარებას, მუშაობდა კომპოზიტორებთან და შედეგად სახეზე იყო. შედარებისთვის ვიტყვი, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ქართული საბალეტო ნაწარმოები არ შექმნილა... ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებშიც საზღვარგარეთ უფრო სრულდება.

რუსუდან აზარაშვილი – ბედნიერი ვარ, რომ ბატონი ვახტანგის მოწაფე, ასისტენტი და კოლეგა ვიყავი. მას დაეცა არ სჭირდება. ვერაფერს შეძლებს ჯუჯუიანი წერილებით მისი სახელის შემოღებას. არიან სოფო კილასონის მსგავსი ადამიანები, რომლებიც ვერაფერს ქმნიან და სხვისი განქიქების მცდელობით კმაყოფილდებიან, ეს არასრულფასოვნების კომპლექსია. მომავალმა თაობამ ახალი უნდა შექმნას, თუკი ამას შესძლებს, ხოლო რაც აქამდეა მოპოვებული პატივი უნდა ვცეთ. თავად სოფო კილასონისა რა გაუკეთებდა, ან აქვს კი სხვისი კრიტიკის უფლება?

ლენინგრადის საბალეტო სასწავლებელში ბატონმა ვახტანგმა 3 წელიწადში 8 წლის პროგრამა დასძლია და პედაგოგები გააოგნა. გამოსამკვირვებელი სადამოც თვითონ დადგა. იგი სხუელს ფენომენალურად ფლობდა. ერთ ჯერზე 18 ბრუნს ასრულებდა, დიდ პირუტყვს საოცარ ტემპში აკეთებდა. ვერაფერს ანჯაფარძემ ოტელოს ნახვის შემდეგ თქვა, რომ მისი ლაპარაკი მესმის – იმდენად გამოხატული ფესტიკულაციაა ჰქონდა. ვასილიევმა მისი ლოჟის წინ ჩამოხედა და უთხრა – თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ჩვენ არ ვიქნებოდითო. მართლაც ლიეზა რეპერტიუარის ჩატარებას სთხოვდა. ეს გახლდათ მოვლენა მსოფლიო საბალეტო ხელოვნებაში, რომლის მიღწევების განმეორება ვერაფერს შესძლო.

ამ მუზეუმის დირექტორმა დავით ჯანგველაძემ ვ. ჯაბუკიანის მემკვიდრეობა გადაარჩინა. თავისი ენერჯია შეაღია რემონტს, ექსპოზიციის მოწყობისა და დიდი შემოქმედის პოპულარიზაციის საქმეს. არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარებდა, რისი მომსწრეც ხშირად ვყოფილვართ.

ბატონ მარამიძე – ვიცნობ ამ პასკვილების ავტორს. ს. კილასონია საბალეტო სასწავლებელში ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე იყო, მაგრამ ფიგურა არ უწყობდა ხელს. მერე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და თეატრზე წერა დაიწყო. თავიდანვე ზოგი სტატია მომეწონა, შემდგომ რაღაცეები აღარ მომეწონა, რადგან ტენდენციურობა შევნიშნე. სოფოზე ნაწყენი ვარ. ერთხელ მისი სტატია წავიკითხე ოპერის თეატრზე და ვუთხარი ამ დარგში თუ განათლება გაკლია, ერთ კარგ წიგნს, ბერნენშტეინის „საოპერო რეჟისურას“ გაჩუქებ-მეთქი. გაკვირვებული დავრჩი, რომ არ მოვიდა. ეს ეპიზოდი იმითაც გავიხსენე, რომ აქედან ჩანს მისი ზერეულე დამოკიდებულება. მხოლოდ ყურმოკვრით და გაგონილით წერა არ შეიძლება. მისმა სტატიამ აღმამოფოთა თავისი უტორობითა და უსუსურობით. თავად წერილის სათაური „გადიარობ, რომ გეძულს“ არ ვიცი საიდან მოიტანა, ან რატომ იღებს ასეთ პასუხისმგებლობას, ვინაიდან საბალეტო სტუდიის კურსდამთავრებულისგან ასეთი სტატიის დაწერა უსინდისობაა.

მუზეუმის ექსპოზიციამ კარვად ჩანს ვახტანგ ჯაბუკიანის მოღვაწეობა, რომლის მომსწრეც ვარ. აქ გამოფენილი თითოეული სურათი ცალკე ისტორიის მატარებელია. მუზეუმში ვ. ჯაბუკიანის მოღვაწეობის პოპულარიზაციას ეწევა, რაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საქმეა.



ნუკლი ნუკლი და ნამოკლი...

მრგვალი მაგიდა ვახტანგ ჯაბუკიანის სახლ-მუზეუმში



მერაბ გეგია – გენიალურ ხელოვნზე საუბრისას რა კომენტარის გავკეთებ შეიძლება? მაგრამ, თუ ვინმე ბატონ ვახტანგს აუგად მოიხსენიებს, ეს უკვე აღმაშფოთებელია და რეაგირებას მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, საზოგადოებამ არ იცის სოფო კილასონიას უმსგავსო სტატიის შესახებ, თორემ ტელევიზიითაც გაშუქდებოდა და დიდი ამბავიც მოჰყვებოდა. პრეცედენტი უნდა შექმნას, რომ ასეთ ავტორს სათანადო პასუხი მოეთხოვოს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ს. კილასონიას წარმოდგენა არა აქვს სად და რა გარემოში ცხოვრობს. რა ბოროტებამ შთააგონა ასეთი სისულელის თქმა? ჯერ კიდევ ცოცხლები ვართ, ვისაც სცენაზე გვინახავს ეს ვირტუოზი და სოფოს თაობამ არ იცის, რა ფასდაუდებელი შემოქმედება დაგვიტოვა მან. თეატრში თუ რაიმე ამბავებზე და საოცარი განცდა მქონია, ერთ-ერთი მათგანი ბატონი ვახტანგის გამო გახლდათ.

დიდმა რეჟისორმა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ ავ. ხორავას უთხრა: „ვიჩოქებ თქვენს მიერ ნათამაშე ოტელოს წინაშე“ და ასეთმა მსახიობმა ხელები ასწია ბატონ ვახტანგის ოტელოს ნახვის შემდეგ... აი, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე! საქართველოში სულ უმადურობაზეა ლაპარაკი. რა უბედურება გვჭირს? რა რუდუნობა და ტანჯუილია ეს მუზეუმი შექმნილი. ამისთვის ჯერ მადლობა უნდა უთხრა დათო ჯანგველაძეს და მერე უნდა გამოთქვა შენიშვნა თუ სურვილი მუზეუმის უკეთ მოწყობისთვის.

იმარ მხეიძე – მართლაც, აღმამოფოთებელი ფაქტი მოხდა.

მინდა ბატონ ვახტანგზე ორი ეპიზოდი მოვიგონო, რომლებიც მის გენიალობასა და უდიდეს ავტორიტეტს ამტკიცებენ და იქნებ ზოგი ამით მანაც მიხვდეს მისი შემოქმედების მნიშვნელობას. როცა ჩვენი ანსამბლი ავსტრალიაში იყო გასტროლებზე, პარალელურად ნურიევის კონცერტები იმართებოდა. როდესაც მან გაიგო ვახტანგ ჯაბუკიანი იაპონიაში იმყოფებოდა, გამოსვლები შეწყვიტა და მასტერკლასის მოსასმენად მასთან ჩავიდა. მეორე შემთხვევა მახსენდება: 1960 წელს, გასტროლებზე ჩვენი ანსამბლი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა. გვიხრეს პროდუქციის ვახტანგ ჯაბუკიანის ნახტომის აფიშა ეკიდა და არ გვიკვირს, რომ საქართველოს ასეთი კარგი ხალხური ცეკვის ანსამბლი ჰყავსო. ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე და ბატონ ვახტანგის დანატოვანს სათანადო დაფასება სჭირდება. ამიტომ მთავრობის წინაშე უნდა დავაყენოთ საკითხი, რომ მუზეუმს მეტი ყურადღება მიექცეს და სათანადო სახსრები გამოიყოს. ყველა სტუმარმა უნდა ნახოს ეს შინა, სადაც მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანი ცხოვრობდა.

დოლო ნურცილავა – მოკლედ მინდა ვთქვა, თუ რა გავაკეთებ ვახტანგ ჯაბუკიანმა ქართული საბალეტო ხელოვნებისთვის. 1934 წელს, ამერიკაში გასტროლენისას, იმდენად დიდი წარმატება ხვდა წილად, რომ იქ სიამოვნებით დატოვებდნენ და მსოფლიო კარიერასაც უფრო აღწერდნენ მისთვის. ვისაც არ სჯერა, შეუძლია მაშინდელ ამერიკულ პრესას გადახედოს. ამ პერიოდში მისი სახელი მაშინდელ საბჭოთა კავშირში იყო განთქმული და ვერც ერთი სამჭოთა მოცეკვავე მეთოქეობას ვერ უწყევდა.

ბატონი ვახტანგი, საქართველოში 40-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდა და ეროვნული საბალეტო თეატრს ჩაუყარა საფუძველი. მან, ფენომენალური ალღოსა და უდიდესი ტალანტის წყალობით შესძლო კლასიკური და ქართული ხალხური საცეკვაო ფორმების, ილეთებისა და ცეკვების შერწყმა. პირველად ევროპული და ფოლკლორული ფორმების საბალეტო ილეთებად დახვეწა, ბალეტ „მთების გულში“ განახორციელა. შემდგომ კი ეროვნულ ბალეტებში გააღრმავა და გააძლიერა. ამის მაგალითებია: ხორუმი, საჭილაო, ფერების ცეკვა და სხვა.

იმხანად, საბჭოთა ბალეტის სცენაზე მიღებული იყო ფოლკლორული ეპიზოდები ნახალხო დღესასწაულების, ნადიმებისა და სხვა ზემოების დროს განხორციელებულიყო. ბატონმა ვახტანგმა კი, ქართულ ცეკვებს სიუჟეტად და იდეურად გამართული დატვირთვა მისცა.

ვახტანგ ჯაბუკიანმა საბალეტო სცენაზე გაართულა და გააღრმავა მამაკაცის პარტია და მნიშვნელობა. მაგალითად: „დონ-კიხოტის“ გრან-პას ვარიანტები, ჯარჯის, გორდას, ავთანდილის, ალბერის, კონრადის, უერმონის პარტიები და სხვა. საბჭოთა იდეოლოგია მიერ სცენაზე „საბჭოთა აღმშენებლობის“ ჩვენების მოთხოვნის მიუხედავად, ბატონმა ვახტანგმა გამბედა და საბალეტო თეატრში დააბრუნა უფლისწულები, ფერიები, ავი სულები და სხვა. ამით მან ბალეტს რომანტიკული სული დაუბრუნა.

ბატონმა ვახტანგმა ერთ-ერთმა პირველმა შესძლო ბალეტმასტერის, კომპოზიტორისა და მხატვრისგან თანამოაზრეთა გუნდის შექმნა, რითაც სპექტაკლების იდეურ-მხატვრული დონე ამაღლა. აღსანიშნავია, რომ ვ. ჯაბუკიანამდე ბალეტში უარყოფითი გმირის საცეკვაო პარტიტურა საერთოდ არ გააჩნდა. მან ერთ-ერთმა პირველმა „აიკეკა“ უარყოფითი გმირი, რითაც მასთან ბრძოლისა და მასზე გამარჯვების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. მაგალითად, დავნიში, იავო და სხვა. სხვათა შორის, ამ ორი როლის ქორეოგრაფიულმა გადაწყვეტამ დიდი როლი შეასრულა ი. ვრიგაროვიჩის ბალეტებში.

ვახტანგ ჯაბუკიანმა ქართულ საბალეტო სცენაზე დაამკვიდრა დიდი, მსოფლიო დრამატურგია „ოტელი“ და „ჰამლეტი“. ამ ორ სპექტაკლში მან დასახა ქართული ბალეტის განვითარების ახალი გზები.

გუბაზ მეგრელიძე – ვფიქრობ, დღევანდელი ჩვენი შეკრება და საუბარი საინტერესოდ წარმართა. ნათლად გამოიკვეთა, როგორც ვახტანგ ჯაბუკიანის განსაკუთრებული ღვაწლი, ასევე საზოგადოების დამოკიდებულება მისი შემოქმედების დაფასებისა და ბატონი ვახტანგის პიროვნებისა და შემოქმედების ხელოვნურად დამაკნინებელ უმცარ ავტორთა მიმართ. იმედი უნდა ვიტოვოთ, რომ მსგავსი რევიდივები აღარ განმეორდება, რომლის წინააღმდეგაც ვფიქრობთ, ყოველთვის იქნება სათანადო გამოხმაურება.

მასალა მოამზადა გუბაზ მიგრალიძემ.

რედაქციისგან: ცნობილია, რომ ფასეულობათა გადაფასების ფონზე არაპროფესიონალ, აგრესიულ აქტივისტთა როლი ყველა ეპოქაში იყო გამოხატული, მაგრამ დღინდელი ყოველთვის რჩებოდა უპირობო დინამიკურად და მას არათუ საგანგებო პასუხისმგებლობა, არამედ სისხლის წვიმები თუ აუტირებული მასების ამბოხებანიც კი ვერ აუფასურებდნენ. დღეს, ჩვენს დროებაში, როცა ყველა საკუთარი პირადული არის დაკავებული, გულწრფელი მადლობა გვეთქმის ვახტანგ ჯაბუკიანის მუზეუმში შეკრებილ პროფესიონალებს ამ კეთილშობილი საზოგადოების მისამართით, რომელთა თანადგომა და თანაგრძნობა ქართული საბალეტო ხელოვნების კორიფესს, ანუ ზოგადად, ნამდვილი დინამიკების წინაშე, სამაგალითო და სამომავლო იმედით გვაგვსებს.

ჩანართი: მუშაობდა ნინო ხოუარია და კახა შორიკა

ლექსი - იარიზა!

ყოველი დღე ფრონტის ხაზია!..

ამ ლექსების ავტორი ილია ელიშვილი, მართალია, პროფესიონალი პოეტი არ არის, მაგრამ პოეტური მადლი რომ სცხია, უდავოა. იგი პროფესიით კინოოპერატორია, კინოლოკატორია, ავტორია რამდენიმე უთუოდ მოსაწონი მულტფილმისა, როგორც უფროსი თაობის, ისე შემდგომი თაობების გავლენის კარგად ახსოვთ ილია ელიშვილის გამოსვლისთანავე გახმაურებული მულტფილმი „ყურმა გაყოყორდა“.

სლექსით მტკიცედ, შეუდრკვლად!

(წარწერა იარსალაშის ჯგერის მონასტერში)

ყველა ქართველი გულით მტკიცედ, სულით ხაზია.

ჩვენი ფესვები შეუერთან არს - წინა აზია.

თუ სხვათა ყოფა დვინით სავსე ბრძოლის თახია.

ჩვენთვის ბრძოლაა, ყოველი დღე - ფრონტის ხაზია!



სამყაროს ერთი დღე

გალაქტიკები უთვალავნი და კვაზარები, ნისლეულები უამრავნი, ვითა ქვეშანი; თითხმეტ თუ თხუთხეტ მიღიარდი „პარსეკის“ იქით აღარარისო არაფერი - მხოლოდ სიშავე.

მაგრამ ხანდახან იმას იქით, მოუსავლეთში. გაივლევსთ ამაზრუნვად რაღაც სინათლე, ნუთუ თმია იქაც, ღმერთო, ისეთ შორეთში, ვინ და რად იბრძვის ერთმანეთთან, გვითხარ სიმართლედ.

ამეკეიატა ერთი კითხვა: სადა ხარ, ღმერთო? შარავანდვით შექობილი და ერთადერთო, თუ კი სამყარო მართლაც ასე უსასრულოა მაშინ მითხარი, - სამართავად რა წილი გერგო?

იქნებ ამბობენ ასტრონომი ქვეშარიტებას - გაფართობას სამყაროსას კუმშვა მოწყვეტა, და ერთ წერტილში შეკუმშული ქვეყნიერება სადღაცა წრეზე მის თრეულს „ანტისა“ სვდება.

მათ დაჯახებას მოსდევს სოლმე ისევე გაფანტვა, მჭეებისა და პლანეტების თავიდან შექმნა, და ჩვენც „უკვდავნი“ სელმეორედ გავახვლეთ თვალითა, გავვიღის გავვიღით, ბედი ჰქვია, არ ძალგვიძს შეცვლა!

რა ვქნათ?

„რა გუყოთ და რა გქნათ? ბიჭი ბეგრი შეგქმნათ!“ (თბილის-ქალაქში)

„ტანგამ“ მოსპო ბიკინი, წარსულს ნულარ მივტირით... ასლა მტერი კართან გვიდგას, დინამიტზე ფითილით.

იქნებ ავდგეთ, შევებრძოლოთ, გავწყდეთ გმირულ სიკვდილით? თუ გავიქცეთ ბოშებივით, ღრიანცვლით, ყიფინით?

ან დაუნებდეთ ვედრებით და ძალღურ კუდის ქიცინით, თან ფაჩიკოს „პარმონის“ გაწევით და ქვეყნით.

მაგა-შვილი

გზაზე მიდის მამა-შვილი დაჩაგრული იერის. ბიჭს, ეტყობა ავადმყოფობს, თანაც არის მშვიდი. ხარბად უმხერს პროდუქტებით გამოტენილ ვიტრინებს - „სნიკერსებს“ და „პამპურგერებს“, ძენებსა და „ფიჩინებს“.

მამი „პიცა“ ვიქამია? ჩვენს ნაჭაპურს ჯობია? არა, ეგ ვერ შეედრება დედაშენის ლობიანს. „ლობიანი“, ნაჭაპური და მსვლიერანი რაჭული აღარ ცხვება ჩვენს თჯანში, დავაღო „ჩამონახუნლი“, გაიფიქრა პატარამ და სხვა კითხვა დაუსვა: მამა, ავერ ის ბიბია, მტერს რომა ჰვავს, დაუნსა,



მართლა ასე ჭკვიანია, როგორც მასზე ჰყვებიან? მეზობლები მის ნახვისას ლამის, „ჩესტზე“ დგებიან. ამბობენ, რომ მისი ცოლი ფულის თვლას ვერ აუდის, თითონ „მერსედესით“ დაჰქრის, შვილს უყვია „აუდი“.

სულელია ეგ საწყალი, უბირო, უბრინციბო, ადრე კომუნისტი იყო, ემსახურა ხალხს ვითომ. ასლა „დემოკრატია“ და ქვეყნად იქცა უბიროდ. მამას უნდა უჯერებდეთ, მაგ კაცს კი არ უცქიროთ!

მეტს არაფერს შეჰკითხვია, მთლად გაყუნდა პატარა. გაიფიქრა რაც აქამდე ჩუმად გულით ატარა: „უხ, მამიკო, რაც კი გაეჩნდი, შენს საჩუქრებს სულ ველი, ნეტავი შენც მაგ კაცივით ყოფილიყავ სულელი!“

უღარღელა

თბილისიდან მივფრინავდი სასწავლებლად პარიზში, ეგვისის ზღვის ნაპირას როგორ მოვხვდი, არ ვიცი...

თავს დამყურებს პართენონი, სილაპაზით ცნობილი. და ხელს მიქნევს აფროდიტა, ზღვის ქაფიდან შობილი. ქვეყნად მოცლა არ არსებობს, თუ თვითონ არ მოცლი, მთავარია დროსტარება, ინსტიტუტი მოცდის.

ზღვა აღელდა გადირია ტალღა ნაპირს მიასტა. გვერდით მიდგას ქერა გოგო, იქვე მისი იანტა.

თუნდ გავიფდეს მამაჩემი, თუნდა დადგეს ყირათ საბერძნეთის კუნძულები უნდა შემოვიარო. ... მე უბრალო ნაგი არ მსურს, იანტით უნდა ვიარო!

ძველი სიყვარული

„გიორგი ბასტურაძემ დაბადებითა მქვიათ, ცოლის ქორწილსაც მოგესწარ, ბიჭობაც ამას ჰქვიათ“ (თუშურში)

ვჩხუბობდით და ვრიგებოდით, ყოველ შაბათ-კვირას, მერე სადღაც ვადიარგე, რამაც ვამაკვირვა.

რომ გავიგე, გათხოვდათ, პირი დავაფინე, არ მეგონა, თუ ჩემ ვარდა გიგუებდა ვინმე.

ასლა ვიცი, გაყრილი ხარ, მაგრამ თჯანს შეინი და ჩემსავით აღმა-დაღმა დაჰქრი ჩანთით სელში.

მე ქვრივი და შენ გაყრილი ახალგაზრდებს ვგეგვართ, ერთმანეთის დანახვისას ძველებურად ვღელავთ.

თითქოს ერთად უნდა ვიყოთ ლოგიკური კია, მაგრამ შეიღებს შრომა არ სურთ, შვილიშვილებს შიათ.

ილია ელიშვილი

ამირ-იამრი

პურის ფასის მატებაზე საუბარი ნაადრევია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია აცხადებს, რომ თბილისში ელექტროენერჯის ტარიფის გაძვირების გამო პურის ფასის მატებაზე საუბარი ნაადრევია. მისივე თქმით, მაქსიმალურად უნებუნებელს როგორც დარგს და იმ მენარმებს, რომლებიც აწარმოებენ პურს.

მინისტრი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია ყველა დაბრკოლება მიინიშუმამდე დაიგვანონ. როგორც დანელიამ განაცხადა, სწორედ ამ მოტივით გადააგადეს ფქვილის რეგლამენტი 1 იანვრამდე.

ნელს ე.წ. მეორადი ჩარიხსებები არ იქნება

ამის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მიაი მიმინოშვილმა საქართველოში განაცხადა. მიაი მიმინოშვილის თქმით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ამ პოზიციას იზიარებენ უმაღლესი სასწავლებლებიც.

„ის პროცედურა, რაც გამოცდების სახით უნდა გაკეთებულიყო, თეორიულადაც შეუძლებელია. ჩვენი ამ პოზიციის გაცნობა იყო დღევანდელ შეხვედრაზე უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან. უმაღლესი სასწავლებლების რექტორები სრულად იზიარებენ ამ პოზიციას და შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად გადაწყვეტილია და ნელს არ იქნება ე.წ. მეორადი ჩარიხსებები“, - განაცხადა მიაი მიმინოშვილმა. მიაი მიმინოშვილი ზღვარგადალახულ აბიტურიენტებს უჩრჩევს, შენ ვეტიტონ შიმშილობა და საქმის მოსაგვარებლად საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ სასამართლოს.

აჭარაში ახალი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები დაგეგმილია

„სამართაშორისში მდინარეთა აუზების გარემოსდაცვითი პროგრამის“ ფარგლებში საქართველოში, კერძოდ, კი აჭარის რეგიონში, მდინარე ქოროსი-აჭარისწყლის აუზში ჰიდროლოგიური მონიტორინგის ქსელი ამოქმედდა. პროექტის ფარგლებში დამონტაჟდა 6 ახალი ავტომატიზირებული ჰიდროლოგიური მონიტორინგის სადგური. ავტომატიზირებული სადგურები წყალდიდობის რისკის შეფასებასა და პროგნოზების მომზადებას უზრუნველყოფს და აღჭურვილია ატმოსფერული ნალექების გამზომი თანამედროვე ტექნოლოგიით. პროექტის მიზანია აჭარაში გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტისთვის ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისი მონიტორინგის ქსელის შექმნა და ასევე მდინარე ქოროსი-აჭარისწყლის აუზთან დაკავშირებით მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და დამუშავების შესაძლებლობების გაძლიერება.

სამაჯურები შინაპატიმრობაში გეოგრაფიკის

სასაქონლო მემკვიდრის სამინისტროს სასჯელის მოხდის ახალი ფორმის - შინაპატიმრობის უზრუნველსაყოფად 200 სამაჯურს შეიძენს. შესაბამისი განცხადება მთავრობის გუშინდელ სდომამზე უწყების ხელმძღვანელმა კახა კახიშვილმა გააკეთა. მისი განმარტებით, თავდაპირველად სამაჯურებით, რომელთა შესყიდვა ამერიკული კომპანიისგან მოხდებოდა, არასრულწლოვანი პირები ისარგებლებენ.

„შინაპატიმრობა უნდა ამოქმედდეს 2015 წლის სექტემბრიდან. აქედან გამომდინარე, დავადგინეთ კომპანია, რომელიც აწარმოებს და 30 ქვეყანაში ამოშავებს ელექტრონულ სამაჯურებს შინაპატიმრობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის უზრუნველყოფის მიზნით თავდაპირველად ვგეგმავთ, შევიძინოთ 200 ერთეული შესაბამისი სამაჯური თავისი სერვერებით და მომსახურებით“, - განაცხადა კახიშვილმა. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული 200 000 ამერიკული დოლარი ჯდება. წინასწარ შეუკვეთეთ სამაჯურები მინისტრებისთვის, - ასეთი სურვილით მიმართა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა კახა ჯავახიშვილს. რაც შეეხება საკითხის სერიოზულ შეფასებას, მთავრობის მეთაური ფიქრობს, რომ შინაპატიმრობაში მყოფი პირების სპეციალური სამაჯურების მფუველობით გაკონტროლდება „კარგი პროექტი“ და „ძალიან მნიშვნელოვანი გეგმა“.

„ხულონკის“ მიერ გამოქვეყნებული ელექტრონული მთელი წლის განმავლობაში საქართველოში დაგეგმილია, ცვლილების შემდეგ მოუწევს, რომ მთელი წლის განმავლობაში დატოვოს.

გაფორმებული მემორანდუმის შეცვლაზე მოლაპარაკებები ინვესტორ კომპანიასთან დაწყებულია.

ინტერპრესი

მოვლენის წინ

ქართველმა კალათბურთელებმა „ზაზა“ არენაზე იპარჯიეს

საბარტემპო ეროვნული ნაკრები დღეს 17 საათზე ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატის სასტარტო მატჩს პოლანდიელებთან გამართავს. იგორ კოკოშკოვის გუნდმა სორვატეთში ჩასვლისთანავე ივარჯიშა. სლოვენების დაბა პოდგრეტეტიდან ნაკრების ავტობუსი პირდაპირ „ზაზა არენაზე“ მივიდა, სადაც ქართველებმა 2 საათის განმავლობაში ივარჯიშეს.

პოდგრეტეტიდან ზაგრებამდე 70 კილომეტრია და მწვრთნელებმა ისე დაგეგმეს, რომ დილის ვარჯიში ოდნავ მოგვიანებით პირდაპირ ევრობასკეტის მასპინძელ არენაზე დანიშნეს. სავარჯიშო ფორმებში გამონწყობილი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები პოდგრეტეტიდან დილის 11 საათზე დაიძრნენ და ნაშუადღევს, პირველ საათზე უკვე ზაგრებში იყვნენ. სლოვენია-ხორვატიის საზღვარზე ნაკრების ავტობუსი მცირედით შეფერხდა და მესაზღვრეებმა არაეეროვანად ქვეყანაში შესვლისას ყველა მგზავრის პასპორტი გადაამოწმეს, თორემ ქართველები „ზაგრებ არენაზე“ შედარებით ადრინადა მივიდოდნენ.

3 წლის წინათ აშენებული „ზაგრებ არენა“ 15 ათას მაყურებელს იტევს. ევრობასკეტისთვის ეს რიცხვი ოდნავ შემცირებულია, რადგან მედიის წარმომადგენლებს დამატებითი ტრიბუნები გამოუყვეს, რაც მანამდე არსებული სტანდარტული ტრიბუნების სარჯზე მოხდა. მაყურებლების სიმრავლეს დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან ზაგრები ძალიან ახლოსაა სლოვენისთან და მაკეთვლიანთან, ამ ქვეყნებიდან დაძრულ გულშემატკივართათვის კი „ზაგრებ არენაზე“ ადგილები უხვად მოიძებნება.

საქართველოს ნაკრების ვარჯიშმა 2 საათს გასტანა. იგორ კოკოშკოვმა გუნდი სათამაშო ეპიზოდებზე და სროლაზე ავარჯიშა. კალათბურთელებმა კომბინაციების გათამაშებაზე იმუშავეს, ფიზიკური ვარჯიშებიც შეასრულეს და „ზაგრებ არენას“ ფარებიც შორი თუ ახლო დისტანციებიდან სროლებით მოსინჯეს. ნაკრებში კარგი განწყობაა, რადგან ტრავმირებული არავინაა და



ზურგს ყველას ნაყოფიერად გავლილი შეეკრება უმაგრებს. „ზაგრებ არენიდან“ ნაკრები სასტუმრო „პანორამაში“ გაემართა. სლოვენებიდან გამოყოლილ საქართველოს ნაკრების ავტობუსს ხორვატიის საზღვრიდან წინ პოლიციის ესკორტი მიუძღოდა, რომელმაც კოკოშკოვის გუნდი ჯერ არენაზე, შემდეგ კი სასტუმრომდე მიაცილა. დღეიდან საქართველოს ნაკრები, ისევე როგორც სასტუმრო „პანორამაში“ მცხოვრები ევრობასკეტის C ჯგუფის კიდევ 4 წევრი (ხორვატიის ცალკე ცხოვრობს), ევროჩემპიონატის ბრენდირებული ავტობუსებით ივლიან.

დაბინავებისთანავე ნაკრებმა ისაძილა. სასადილო ოთახში ქართველები შეხვდნენ მეტოქე ნაკრებების თანაგუნდელ წევრებს. ზაზა ფაჩულიამ „მილუოკი ბაქსი“ თავის თანაგუნდელი და მეგობარი,

საბერძნეთის ნაკრების ლიდერთაგან იანის ადეტოკუმბო მოინახულა. დიდი ოვაციებით შეხვდნენ ერთმანეთს გასულ წელს ყაზანის „უნიკსში“ თანაგუნდელეები – ვიქტორ სანიკიძე და ბერძენი კოსტას კაიმაკოლუ. გულთბილი მოკითხვა ჰქონდათ ასევე გიორგი შერმადინს და ბერძნების ლიდერ ვასილის სპანულისს.

თორნიკე შინგელია:
– უკვე აქ ვართ, დღეს პოლანდიისთან მატჩია და ჩვენი ნაკრები მზადაა. მიუხედავად იმისა, თუ მეტოქე ვინაა, მაქსიმუმი უნდა გავილოთ, რადგან ევროპის ჩემპიონატზე იოლი მეტოქე არ არსებობს.

ზაზა ფაჩულია:
– განწყობა შესანიშნავია. თვენახევარია, ერთად ემზადება ვაკეთებდით, რომ ევროპის ჩემპიონატს მზადყოფნაში შევხვედროდით და ესლა, როცა ზაგრებში ჩამოვდით, ყველას საბრძოლო განწყობა გვაქვს. გავიგორებ არაერთხელ ნათქვამს, რომ თუ არასერიოზულად მოვეკიდებით პოლანდიის ნაკრებს, ისე დავისჯებით, როგორც 3 წლის წინათ. ნაკრების ყველა წევრმა იცის რომ, მოდუნება არ შეიძლება და ყველა ბოლომდე უნდა დაიხარჯოს მიზნის მისაღწევად. 6 დღეში 5 თამაში გველის და ვნახოთ, დიდი გამძლეობა და ბრძოლისუნარიანობა გვმართებს.

მანუჩარ მარკოშვილი:
– შესანიშნავი გარემოა. ამ ტრიბუნებზე უმეტესწილად ჩვენი მეტოქეების გულშემატკივრები ისხდებიან. ჩვენ ძალიან მობილენებულად უნდა ვიყოთ. დაცვაში მეტი ყურადღება გვმართებს. ვიცით, რომ დიდი პასუხსმგებლობა გვეკისრება თითოეულს. მე პირადად იმას ვეცდები, რომ დაცვაში ვითამაშო კარგად, რადგან ვიცი, რომ თუკი ამ საქმეს წარმატებით გავართმევ თავს, შეტევაში თამაში გაგვიოლდება.

ვიტალი ჯაფარიძე

სუამ

ერთი „პერსული“ და ოთხი „პრინჯაო“

ასეთი მონაგრით დაასრულეს ქართველმა სუმოსტუმბა (დელეგაციის ხელმძღვანელი სუმოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუსაძე, მსაჯე – ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლაშა აბესაძე) ოსაკაში (იაპონია) გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც 35 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. 18-წლამდელებში შამილ გოგოჭურმა (+100 კგ) ზედიზედ სძლია ეგვიპტელ იბრაჰიმ აბელ ლატიფის, ბრაზილიელ ესპირიტო სანტოსს, ესტონელ ვალტერ ოლივერს და მხოლოდ გადამწყვეტი პაექრობა წააგო მასპინძელ კამატაში მასაკაცუსთან, რითაც საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. ამავე სახურა ნიკოლოზ სისვაძემ (-100): პირველ წრეში მან ავსტრალიელი ვენტური დაამარცხა, მერე თავად წააგო უკრაინელ ანდრეი გალეთასთან, თუმცა დამამშვიდებელში ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან რუსი მაქსიმ შიტიკოვი, ბრაზილიელი რამოს სატო და უნგრელი დომენიკ ლაიტსი.

ძელ ნოგუტი კიოშიკის ვერ გასცა. სამაგიეროდ, რეპეშაჟში ოთხ მეტოქეს მოუგო – ვენესუელელ რივას უზურანგას, ავსტრალიელ დანიელ ბაზანას, ფინელ



რიოჯია განქარის, ბულგარელ ივან ბლაგოვეს და საქართველოს დელეგაციას ბრინჯაოს მედალი მოუტანა. ცერცვაძე, მართალია, სტარტზევე დამარცხდა ბულგარელ ივან კაშაკოვთან, მაგრამ ეს უკანასკნელი ფინალში გავიდა და ჩვენებურიც დამამშვიდებელში გაიყოლია. ქართველმა სუმოსტუმბა პორტუგალიელ ნევეს კარიოსს, ყირგიზ აიმარ ერგეშოვს, რუს მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონ ალან კარავაევს სძლია და „პრინჯაო“ ერგო. ჩვენმა სპორტსმენებმა გუნდურშიც იასპარეზეს (უფროსებს გოგოჭური დაემატა), ექვსი ქვეყნის წარმომადგენლებს მოუტეს და აქაც მესამე ადგილზე გავიდნენ.

ლაშა დიდა

ფეხბურთი

„იუვენ“ ხარბილი გრიზუნით დასაჯეს

სერი B-ს მომდევნო ტურის მატჩში ტურინის „იუვენტუსი“ „კიევის“ უმასპინძლებს და ვერონელებთან მატჩის მსვლელობისას „ბეზერტი ქალბატონის, ფანატთა ტრიბუნა „კურვა სუდი“ ცარიელი იქნება. „ბიანკონერი“



თანაქალაქელ „ტორინოსთან“ წინა ჩემპიონატში ვაიგულშემატკივრის მიერ ნასროლი შაშანის გამო დასაჯეს.

„იუვენტუსმა“ ტრიბუნის დისკვალიფიკაცია არაერთხელ გაასაჩივრა, აქაოდა, ხულიგანი ქომაგი დროულად აღმოვაჩინეთ და სათანადოდაც დავსაჯეთო, მაგრამ ტურინელთა აპელაცია უშედეგო გამოდგა. „მავთეთრები“ იტალიის ფეხბურთის ფედერაციისთვის თხოვნით მიმართეს აპირებენ, რათა ხსენებულ ტრიბუნაზე ფეხბურთის მოყვარულ ბავშვებს მატჩზე უფასოდ დასწრების ნება დართონ. „იუვენტუსისა“ და „კიევის“ შეხვედრა ლიდერ-აუტსაიდერის დაპირისპირება იქნება – სერია A-ს სასტარტო 2 მატჩში ვერონელებმა იმარჯვეს, ტურინელებს კი აქტივში ჯერჯერობით ქულა არ აქვთ.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

აფსუსი, ემი...

იბპრნილი ტომ-მოდელი ემი სუზუკი, რომელიც იაპონიის საფეხბურთო ნაკრების თილისმად და მიჩნეული, სმარტიან სკანდალში გაეხვია და რომ არა მისი ესოფრენი ცნობადობა და იაპონიაში დიდი პოპულარობა, დიდი შანსი იყო, რომ მშვენიერ თავს „ვირის აბანოში“ კი ამოყოფდა. ემი სუზუკი პარტნიორებთან ერთად ტოკიოში მდებარე რამდენიმე ლამის ბარის მფლობელია და ამ ბარებს მისთვის ტკბილი შემოსავალიც მოჰქონდა. ერთი შეხედვით ყველაფერი კარგად მიდიოდა მანამდე, სანამ ტოკიოს პოლიციამ სუზუკის ბარებში ნარკოტიკების გამსაღებლები არ აღმოაჩინა.

როგორც გაირკვა, ნარკოდილერები ბარების მფლობელებთან იყვნენ შეკრულები და მათ გაყიდული საქონლიდან გვარნიან ნილსაც უხდიდნენ. პოლიციამ ხელიხელსაგოგმანები ემი სუზუკი მალევე ამხილა და ნაშაულში და მოდელს წინ ბევრი პრობლემა ელოდებოდა, თუმცა, ჯერჯერობით ციხეში მაინც არ ჩაუხვამთ. ცნობადობა, როგორც ჩანს, მანაც თავისას შვრება.

როსტომ რაჭველიშვილი



რაზი

სწავლის ძირი მწარე არი...



ინგლისში, მსოფლიო თასისთვის მზადების მესამე ფაზაზე მყოფი, საქართველოს ეროვნული ნაკრები ვ-მატჩიანი საკონტროლო სერიის მეორე შეხვედრაში კანადას დაუპირისპირდა, რომელშიც „ნეკერჩლებმა“ ბორჯღალოსნებს 16:15 სძლიეს. აქამდე საქართველო და კანადა ოთხჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და ორორი მოგებით საერთო ანგარიში საყაიმო იყო. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სერია ჩვენი ნაკრებისთვის მსოფლიო თასის წინ მოსამზადებელ მატჩებს წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ კანადასთან მატჩი ტესტი იყო, თამაშის მიზანს ვარჯიში და სათამაშო კომპონენტებზე მუშაობა წარმოადგენდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მატჩის მსვლელობისას ჯარიმებიდან ბურთი აუტში გადავქონდა და დერეფნიდან შეტყევებზე ვმუშაობდით.

რებისთვის მსოფლიო თასის წინ მოსამზადებელ მატჩებს წარმოადგენს და მიუხედავად იმისა, რომ კანადასთან მატჩი ტესტი იყო, თამაშის მიზანს ვარჯიში და სათამაშო კომპონენტებზე მუშაობა წარმოადგენდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მატჩის მსვლელობისას ჯარიმებიდან ბურთი აუტში გადავქონდა და დერეფნიდან შეტყევებზე ვმუშაობდით.

კოპა კოპახიძე

დადაინჯის ზურგზე

არჩევნები დონაციისა და ლუბანსკის სახალხო რესპუბლიკაში რუსეთს ახალი სახეცხვითი ემუქრება



თვითგამოცხადებული სახალხო რესპუბლიკების უარის შემთხვევაში - მოაწიონ ადგილობრივი არჩევნები დანარჩენ უკრაინასთან ერთად 25 ოქტომბერს - დასავლეთი დას-

ვანგტონი მუხრამდებით ადგილებს თვალყურს ცნობებს რუსეთის სახელმწიფოს შინაგარეო უწყებებში, განაცხადებს თითო სახელმწიფო

„ასადის რეჟიმის ნებისმიერი სამხედრო მხარდაჭერა, სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნა, თვითმფრინავების, იარაღის მიწოდების ან დაფინანსების შესახებ არის მადესტაბილიზებული და კონტრაბანდული“ - განაცხადა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯოშ ერნესტმა. ვანგტონის შემფოთების შესახებ რუსეთის ფედერაციის ჩარევის შესახებ სირიის კონფლიქტში განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარკ ტონერმა.


სრულა კალიფორნიის კოლეჯები: ერთი კაცი დაიღუპა, ორი დაიჭრა

უცნობმა დამნაშავემ გახსნა ცეცხლი კოლეჯის კორპუსის ტერიტორიაზე ამერიკის ქალაქ საკრამენტოში. პრესის მონაცემებით, პოლიციამ გადაკეტა ყველა გზა, რომელიც სასაფლავლებისკენ მიდის. მიმდინარეობს მსროლელის ძებნა, მათ შორის შევუღმფრენების დახმარებითაც. მსროლელის პიროვნება ჯერჯერობით არაა დადგენილი.



სასამართლომ ცინეზი გაგზავნა გვატამალის ყოფილი პრეზიდენტი

გადანწყვტილება დაპატიმრების შესახებ მიიღო მოსამართლე მიგელ ანხელ გალვესმა. როდესაც ამას განმარტავდა მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი შეეხება „დროებით და არა წინასწარ პატიმრობას“. სახელმწიფოს ყოფილი მეთაური ოტო პერეს მოლინი რომელიც წინა დღით გადადგა დიდ კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებით, იქნება ცინეზ „მატამოროში“.



ბაიდემა პირველად გააკეთა კომენტარი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში თავისი მონაწილეობის შესახებ

„ყველაზე არსებითი ფაქტორი ჩემი გადამწყვეტილებისთვის - არის გავიგო, აქვს თუ არა ჩემს ოჯახსა და მეც ემოციური ძალები იმისათვის, რომ მივიღო მონაწილეობა საარჩევნო რბოლაში. პირდაპირ ახლა, როდესაც თვალში შემოგვცქერია, მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ამას გავაკეთებ“, - თქვა 72 წლის ვიცე-პრეზიდენტმა. „პატიოსანი სიტყვას გაძლევთ, ჯერჯერობით მე ეს არ ვიცი“, - დაუმატა მან.

კალი პატრონს ვერ ცნობს

რა უნდა თურქეთის დელეგაციას აფხაზეთში?

აფხაზეთის მედიასაშუალებების ცნობით, 2 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის ქოჯაელის პროვინციის გუბერნატორი იბრაჰიმ კარაოსმანოღლუ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შეხვდა. თურქეთის დელეგაციის მეთაურმა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში მოგზაურობის შთაბეჭდილებები გააცნო. როგორც აფხაზეთის მედია წერს, ილაპარაკეს სამომავლო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივაზე. საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ეს ვიზიტი თურქეთის მთავრობასთან შეთანხმებული არ ყოფილა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის მთავრობას ამ ვიზიტის გამო საპროტესტო ნოტა უკვე გაუგზავნა და აისნა-განმარტებას ელის.

წინასაარჩევნოდ თურქეთს თავისდავე ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზების საარჩევნო ხმები სჭირდება:

„ეხო კავკასია“ მთავარი რედაქტორი დემის პოლანდოვი კი ამბობს, რომ თურქეთის პროვინციის გუბერნატორის ვიზიტი აფხაზეთის მთავრობაში ერთგვარ გამარჯვებად აღიქმება. აფხაზეთის საგარეო საქმეთა უწყებაში ცალკე დეპარტამენტიც კი მუშაობს, რომელსაც თურქეთთან ურთიერთობა აბარია. აფხაზეთი მიდიან თურქეთში და, პირიქით. თუმცა, პოლანდოვის თქმით, იქაც ყველას ესმის, რომ ეს ვიზიტი თურქეთის მხრიდან აფხაზეთის აღიარებასთან კავშირში არ არის. თავად პოლანდოვი მიიჩნევს, რომ თურქეთის გუბერნატორის ვიზიტის მიღმა



2 სექტემბერს თურქეთის დელეგაციის სტუმრობას სოხუმსა და აფხაზეთის რამდენიმე რაიონში აფხაზეთის არაერთი მედიასაშუალება აშუქებს. „მართალია, პოლიტიკურად ჩვენ აღიარებული არ ვართ, მაგრამ შეგვიძლია და მზად ვართ, ვაშენოთ ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები თურქეთთან“, - ციტირებს „აბაზა ტვ“ აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას, რომელმაც თურქეთის დელეგაციას მიიღო. თავის მხრივ, როგორც აფხაზეთის მედია იტყობინება, ქოჯაელის გუბერნატორმა იბრაჰიმ კარაოსმანოღლუმ განაცხადა, რომ ისინი მზად არიან აფხაზეთთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისათვის: „ჩვენ ნამდვილად ვგრძნობთ, რომ ჩამოვედით ძმებთან... ჩვენ დავპატივით ოჩამჩირის ხელმძღვანელობა 29 ოქტომბერს თურქეთში, რესპუბლიკის დღესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებებზე“.

როგორც თურქეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ირაკლი კოპლატაძემ მედიასთან საუბარში განაცხადა, თურქეთის დელეგაციის აფხაზეთში ვიზიტთან დაკავშირებით საქართველომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ნოტით უკვე მიმართა. მისი თქმით, თურქეთში საქართველოს საელჩომ ამ ვიზიტის შესახებ რამდენიმე დღით ადრე იცოდა. თავად ფაქტს ელჩი იმით ხსნის, რომ თურქეთში დღეს წინასაარჩევნო პერიოდი და ქვეყანას დროებითი მთავრობა ჰყავს, თურქეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში კი განმარტავენ, რომ ამ ვიზიტის თაობაზე ისინი ინფორმირებულნი არ ყოფილან:

„თურქეთის მთავრობა ცალსახად ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რაც მათ გავიგო, მაგრამ დღეს თურქეთში მოქმედებს დროებითი, საარჩევნო მთავრობა, მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია, საპარლამენტო არჩევნები იქ პირველ ნომებერსა დაიწყო და, თურქული მხარის განმარტებით, სწორედ ამ ვითარებით შეიძლება ისარგებლონ ადგილებზე ცალკეული მუნიციპალიტეტებისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა“.

„მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი - საქართველოს“ დირექტორის ლევან გერაძის ვარაუდით, მიუხედავად თურქეთის ინტერესებისა აფხაზეთში, თურქეთის სახელმწიფოსგან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას იმაზე მეტი მხარდაჭერა არ ექნება, რაც ჰქონდა დღემდე. დელეგაციის ვიზიტი კი შესაძლოა აისხნას იმით, რომ

თურქეთის შიდაპოლიტიკური ვითარება დგას - კერძოდ, ის, რომ გუბერნატორი იბრაჰიმ კარაოსმანოღლუ წარმოადგენს მმართველ პარტია „სამართლიანობა და განვითარებას“, რომელმაც ბოლო არჩევნებზე, 2015 წლის ივნისში, უმრავლესობა დაკარგა და იძულებული გახდა, კოალიციური მთავრობა ჩამოეყალიბებინა, რომელშიც ოპოზიციური პარტიები არ შესულან. ნომერისათვის მათ რიგგარეშე არჩევნები დანიშნეს. უმთავრესი პოლიტიკური ძალა კი, რომელიც მათ საარჩევნო ხმებს ართმევს, არის მე-მარცხენე „სახალხო დემოკრატიული პარტია“. ის უმცირესობათა საკითხებს ლობირებს და მუშაობს ქურთების, ჩერქეზებისა და ლაზების უფლებებზე. პოლანდოვის შეფასებით, ქოჯაელის პროვინციის გუბერნატორის ვიზიტიც იმის ხაზგასმამა, რომ უმცირესობებს მმართველი პარტიაც უთმობს ყურადღებას. როგორც ჩანს, ამბობს დემის პოლანდოვი, ამ შიდაპრობლამ აფხაზეთის ტერიტორიაზეც გადაიკეულა, რასაც, ცხადია, მოჰყვებოდა საქართველოს ხელისუფლების პროტესტი.

აფხაზეთის მედიის ცნობით, ქოჯაელში 30 000 აფხაზი ცხოვრობს და იქ აფხაზეთის კულტურის ცენტრიც ფუნქციონირებს.

ეპა ძევიანიშვილი რადიო „თავისუფლება“

ცინცხალი ანეკდოტები

ერთხელ ბრძენს ჰკითხეს, გახდის თუ არა ფული მას უფრო ბედნიერს. - კარგი, მომეცი შენი ჩათვლის წიგნაკი, - უპასუხა ბრძენმა.

- მამბ, კარიერის გაკეთება ორგანიზებული დანაშაულის სფეროში გადაწყვეტილება. - ძალიან კარგი, შვილო, ერთი ეს მითხარი, ამას სახელმწიფო სამსახურში აპირებ თუ კერძო სექტორში?

მძიმე ეკითხება პაციენტს: - რა გაწუხებთ? - ფული და ქალები... არც ერთი მაქვს და არც მეორე, არადა ვირივით ჯანზე ვარ!

- მიტო, მოდი, ჯო, დღეიდან ერთმანეთის წინაშე გულახდილები ვიყვნეთ, კარგი? - კარგი, შე ცალტვინა, მახინჯო ვირო..

- ბიძო, რატომ ხარ ასე ფერმკრთალი და უგუნებო? მოხდა რამე? - მოხდა, აბა არ მოხდა გუშინ ქალაქგარეთ ვიყავი ერთ გოგოსთან ერთად, იქ კი მანიაკი დამხვდა.. - სექსუალური? - არა, ბისექსუალური!

ჭიჭიკიბი, დახუჭე თვალები და გააღე პირი... ოღონდ, იცოდე, არ გადმოაფურთხო... გრძნობ ბუშტულაკებს? - კი ვგრძნობ, ძამა! რაია იგი, „კოკა-კოლა“? - კარბიდა, ხო მოგწონს?!



საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი 293-37-87

პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია მწუნარებას გამოხატავს ამავე აკადემიის თანამშრომლის

დავით ბაიბარჯაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გივი მძელური ოჯახით იწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში, სპორტულ ტანვარჯიშში - თაობების აღმზრდელი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება



თინათინ ბუილიშვილი

და სამომავლად უცხადებს განსვენებულის ოჯახს. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული ტანვარჯიშის განვითარების საქმეში. მსუბუქი იყოს ჩემო თენგიზ ქართული მიწა, რომლის სიყვარული თან ჩაიყვლე. გამოსვენება 5 IX, 14 სთ. მისამართი: ქავთარაძის I, IV კორპუსი, IV სართული.

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი. მარაბლის ძ. №7. ISSN 2233-3851. 9 772233 385001. მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე.